სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

08 აპრილი, 2026 წელი

ბრძანება № 01-18/128

2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე-15 მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 26 მარტის №02 გადაწყვეტილების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადების ფორმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 16 აპრილის №01-08/39 ბრძანების, „ბსუ-ს სტუდენტური საპროექტო განაცხადის საბიუჯეტო კლასიფიკაციისა და გასაწევი ხარჯის ზღვრული ოდენობების განსაზღვრის თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2022 წლის 03 მაისის №01-10/49 ბრძანების, „ბსუ-ს 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2025 წლის 05 დეკემბრის №07-01/39 გადაწყვეტილების (ცვლილება - ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 27 მარტის №01-10/37 ბრძანებით), „2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 26 მარტის №01-02/61 ბრძანების, „2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების გამოვლენის, განხილვისა და დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით საკონკურსო კომისიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 06 აპრილის №01-02/68 ბრძანების, ბსუ-ს რექტორის მოადგილის 2026 წლის 08 აპრილის №422826 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაფინანსდეს 2026 წლის აპრილში ჩატარებული კონკურსის შედეგად გამარჯვებული, **2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტები:**

1.1. **„MyBSU“** - წინამდებარე ბრძანების **№1 დანართი** (პროექტის ხელმძღვანელი - **ირაკლი ბუკულოვი** (ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის „კომპიუტერულ მეცნიერების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი); პროექტის ბიუჯეტი - **4250 ლარი**).

1.2. **„ფორმადქცეული ქიმია”** - წინამდებარე ბრძანების **№2 დანართი** (პროექტის ხელმძღვანელი - **ანა ჯინჭარაძე** (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი); პროექტის ბიუჯეტი - **4120 ლარი).**

1.3. **„მოლაშქრე სტუდენტები“** - წინამდებარე ბრძანების **№3 დანართი** (პროექტის ხელმძღვანელი - **დიანა კოჩალიძე** (ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის „ტურიზმის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი); პროექტის ბიუჯეტი - **2450 ლარი**).

1.4. **„ახალგაზრდა მეცნიერთა ბანაკი“** - წინამდებარე ბრძანების **№4 დანართი** (პროექტის ხელმძღვანელი - **მარი ყულჯანიშვილი** (ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართული ფილოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი); პროექტის ბიუჯეტი - **6300 ლარი).**

1.5. **დებატ ტრენინგ-ტურნირი „პეითო“** - წინამდებარე ბრძანების **№5 დანართი** (პროექტის ხელმძღვანელი - **მათე ბილიხოძე** (ბსუ-ს იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის „სამართალმცოდნეობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი); პროექტის ბიუჯეტი - **2500 ლარი).**

1.6. **„აჭარის ჰერპეტოფაუნის კვლევა“**/„Research of the herpetofauna of Adjara" - წინამდებარე ბრძანების **№6 დანართი** (პროექტის ხელმძღვანელი - **ალექსანდრე ხახვა** (ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის „ეკოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი; პროექტის ბიუჯეტი - **4035 ლარი).**

2. ამ ბრძანებით დამტკიცებული 2026 წლის სტუდენტური პროექტების ბიუჯეტების და ბსუ-ს სამართლებრივი აქტების შესაბამისად რესურსების განკარგვის კოორდინაცია უზრუნველყოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა და წინამდებარე ბრძანების დანართების შესაბამისად განხორციელდეს პროექტების ბიუჯეტებით გათვალისწინებული აქტივობები (პერსონალის მოწვევა, სამსახურებრივი ბარათების წარმოდგენა, მატერიალური რესურსების გამოყენება, შეძენა და სხვა).

3. ამ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს რექტორის მოადგილემ (თ. სირაძემ).

4. ბრძანება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, რექტორის აპარატს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, იურიდიული და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ტურიზმის ფაკულტეტს, სტუდენტური **პროექტების ხელმძღვანელებს:** ირაკლი ბუკულოვას, ანა ჯინჭარაძეს, დიანა კოჩალიძეს, მარი ყულჯანიშვილს, მათე ბილიხოძეს, ალექსანდრე ხახვას (მათთვის გაცნობა და დაგზავნა უზრუნველყოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტმა).

6. ბრძანება ძალაშია ხელისმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქუჩა №30).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **მერაბ დიასამიძე**

„2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 08 აპრილის №01-18/128 ბრძანების

№1 დანართი

2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი - **„MyBSU“**

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

განმცხადებელი	**პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი**	ირაკლი ბუკულოვი (პ/ნ -	
	სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში)	Thou	
	განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი		
	საკონტაქტო მობილურის ნომერი		
	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა		
პროექტის შესახებ	**პროექტის დასახელება** (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად)	MyBSU	
	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები	**დაწყების თარიღი**	**დასრულების თარიღი**
		14/04/2026	**15/06/2026**
		(რიცხვი/თვე/წელი)	**(რიცხვი/თვე/წელი)**
	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	4250 ლარი	
	თანადაფინანსება	0 ლარი	
	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა	4250 ლარი	
	ხელმოწერა (პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)		
	თარიღი	**05/04/2026**	
		რიცხვი/თვე/წელი	

პროექტის აღწერა:

ა) **პრობლემის განსაზღვრა**: თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, სადაც ახალგაზრდების ყოველდღიურობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მობილურ ტექნოლოგიებთან, ინფორმაციის მიღების სისწრაფე და სიმარტივე სასწავლო პროცესის ეფექტურობის ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია. დღესდღეობით, ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე (ისევე, როგორც ზოგადად უნივერსიტეტში) სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საინფორმაციო ნაკადების მართვა საკმაოდ ფრაგმენტირებულია.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ სტუდენტებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინფორმაცია - ლექციების ცხრილები, გამოცდების განრიგი, აუდიტორიების ცვლილებები თუ აკადემიური სიახლეები - მიმოფანტულია სხვადასხვა სახით. მაგალითად, ოფიციალური სიახლეები თავსდება ვებგვერდზე, ხოლო ყოველდღიური ცვლილებების შესახებ ინფორმაცია - სხვადასხვა სოციალური ქსელის სტუდენტურ ჯგუფებში. ამ ფონზე განსაკუთრებით მწვავედ დგას სასწავლო ცხრილების პრობლემა, რადგან ისინი ხშირად ვრცელდება Excel/Word ფაილების სახით. ასეთი გაფანტულობა დიდ სირთულეს უქმნის სტუდენტებს, იწვევს მნიშვნელოვანი ინფორმაციის დაგვიანებით მიღებას და თავის მხრივ, ზრდის ფაკულტეტის ადმინისტრაციის საოპერაციო დატვირთვას (რადგან მათ უწევთ ერთი და იმავე ორგანიზაციულ კითხვებზე პასუხის გაცემა).

იდეალურ შემთხვევაში, ამ გამოწვევის სრულფასოვანი გადაჭრის გზა არის ისეთი ერთიანი, გაერთიანებული პლატფორმის შექმნა, საიდანაც ცენტრალიზებულად იმართება თავად ცხრილები და ნებისმიერი ცვლილება მყისიერად აისახება სტუდენტზე მორგებულ მობილურ ეკოსისტემაში. ეს ჩვენს მთავარ სამომავლო გეგმას წარმოადგენს. თუმცა, სწორედ აქ იკვეთება ჩვენი პროექტის მთავარი, ფუნდამენტური პრობლემა: უნივერსიტეტს ამ ეტაპზე არ გააჩნია პრაქტიკულ გამოცდილებასა და კვლევაზე დაფუძნებული მონაცემები იმის შესახებ, თუ რამდენად ეფექტური, მოთხოვნადი და გამართლებული იქნება ასეთი მასშტაბური პლატფორმის სრულად დანერგვა.

მსგავსი მასშტაბური ციფრული სისტემების ბრმად, წინასწარი ტესტირების გარეშე დანერგვა დაკავშირებულია მაღალ ფინანსურ და დროით რისკებთან. ჩვენ არ ვიცით:

- რამდენად მარტივად აითვისებენ სტუდენტები ახალ პლატფორმას?
- რა სახის ფუნქციები სჭირდებათ მათ ყველაზე მეტად ყოველდღიურ რეჟიმში?
- შეამცირებს თუ არა აპლიკაცია ადმინისტრაციისკენ მიმართულ რუტინულ კითხვებს?

სწორედ ეს საინფორმაციო და კვლევითი ვაკუუმი განაპირობებს ჩვენი საპილოტე პროექტის განხორციელების აუცილებლობას. სანამ უნივერსიტეტი მიიღებს გადაწყვეტილებას ცხრილების მართვის სრული გაციფრულების შესახებ, აუცილებელია შეიქმნას სატესტო მოდელი (აპლიკაცია MyBSU) ერთი კონკრეტული ფაკულტეტის ბაზაზე. ჩვენი პროექტი წარმოადგენს აუცილებელ ნაბიჯს - ერთგვარ კვლევით ლაბორატორიას, სადაც სტუდენტური ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით, რეალურ დროში დაიტესტება აპლიკაციის საჭიროება. პროექტის ჩატარება აუცილებელია იმისათვის, რომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას მივაწოდოთ არგუმენტირებული, სტუდენტების რეალურ უკუკავშირზე და სტატისტიკაზე დაფუძნებული დასკვნა, რომელიც გახდება საიმედო საფუძველი ბსუ-ს სამომავლო ციფრული ტრანსფორმაციისთვის.

ბ) **მიზანი:** წინამდებარე პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენს ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის ბაზაზე ცენტრალიზებული ციფრული პლატფორმის (მობილური აპლიკაცია „MyBSU“) საპილოტე ვერსიის შექმნა და მისი პრაქტიკული სიცოცხლისუნარიანობის კვლევა.

პროექტი მიზნად ისახავს არა უბრალოდ ტექნოლოგიური პროდუქტის შექმნას, არამედ საუნივერსიტეტო სივრცეში მისი რეალური ეფექტურობისა და მოთხოვნადობის შეფასებას. კერძოდ, პროექტის ფარგლებში უნდა დადგინდეს, რამდენად წარმატებით ჭრის ერთიანი მობილური ეკოსისტემა ინფორმაციული ფრაგმენტაციის პრობლემას და რამდენად უწყობს იგი ხელს სტუდენტთა ინფორმირებულობისა და ჩართულობის ხარისხის გაუმჯობესებას.

წარმოდგენილი პროექტის განხორციელებისას მიღწეული იქნება შემდეგი კონკრეტული შედეგები:

1. შეიქმნება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, საცესტო ციფრული ინსტრუმენტი, რომელიც ერთ სივრცეში გააერთიანებს სასწავლო პროცესისთვის აუცილებელ ინფორმაციას (ცხრილები, სიახლეები).
2. მოხდება რეალური მომხმარებლების (სტუდენტების) ქცევისა და საჭიროებების პრაქტიკული შესწავლა, ფოკუს-ჯგუფების მეშვეობით მათი უშუალო უკუკავშირის შეგროვება და ანალიზი.
3. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის მომზადდება ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებული, არგუმენტირებული კვლევითი დასკვნა (რეპორტი). ეს დოკუმენტი ცალსახად უპასუხებს კითხვას, თუ რამდენად მიზანშეწონილი და გამართლებულია მსგავსი პლატფორმის უნივერსიტეტის სრულ მასშტაბზე დანერგვა, რითაც უნივერსიტეტს აარიდებს სამომავლო ფინანსურ თუ ტექნიკურ რისკებს

გ) **ამოცანები:** პროექტის მთავარი მიზნის - ცენტრალიზებული ციფრული პლატფორმის პრაქტიკული სიცოცხლისუნარიანობის კვლევის - მისაღწევად, განისაზღვრა შემდეგი კონკრეტული, თანმიმდევრული ამოცანები:

1. საკვლევი ინსტრუმენტის (საპილოტე მოდელის) შემუშავება: ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის სპეციფიკაზე მორგებული მობილური აპლიკაციის სატესტო ვერსიის შექმნა. ეს ინსტრუმენტი არ წარმოადგენს საბოლოო კომერციულ პროდუქტს, არამედ არის ფუნქციური მოდელი, რომელშიც ინტეგრირებული იქნება სტუდენტებისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაცია (მაგალითად, საცდელი ცხრილები და სიახლეები), რათა მოხდეს მისი რეალურ პირობებში გამოცდა.
2. კვლევისთვის უსაფრთხო ციფრული ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა: აპლიკაციის სატესტო გარემოში განსათავსებლად საჭირო ოფიციალური სალიცენზიო და სერვერული ბაზის ორგანიზება. ეს აუცილებელია იმისათვის, რომ სტუდენტებმა შეძლონ აპლიკაციის შეუფერხებელი გამოყენება დაცულ, საერთაშორისო სტანდარტების მქონე ვირტუალურ გარემოში.
3. ფოკუს-ჯგუფების ფორმირება და უშუალო უკუკავშირის შეგროვება: ფაკულტეტის აქტიური სტუდენტებისგან მიზნობრივი საკვლევი ჯგუფების შექმნა. წამახალისებელი აქტივობების (ე.წ. "Bug Bounty" კონკურსის) მეშვეობით, სტუდენტები ინტენსიურად გამოიყენებენ პლატფორმას და მოგვაწვდიან დეტალურ ინფორმაციას ინტერფეისის სიმარტივის, ფუნქციური საჭიროებებისა და პოტენციური პროგრამული ხარვეზების შესახებ.
4. საინფორმაციო კამპანიის წარმოება ვალიდური სტატისტიკის მოსაპოვებლად: ფაკულტეტის მასშტაბით მიზნობრივი საინფორმაციო მასალების გავრცელება. ამოცანას წარმოადგენს საკვლევ პროცესში სტუდენტთა საკმარისი რაოდენობის ჩართვა, რათა მიღებული სტატისტიკური მონაცემები (ყოველდღიური აქტივობა, ინფორმაციის ძიებაზე დახარჯული დრო) იყოს აკადემიურად და პრაქტიკულად ვალიდური.
5. მონაცემთა ანალიზი და ფინალური სარეკომენდაციო დასკვნის მომზადება: საპილოტე პერიოდის დასრულებისას, შეგროვებული სტატისტიკური მონაცემებისა და სტუდენტების თვისობრივი შეფასებების მეცნიერულ-პრაქტიკული ანალიზი. ამ მონაცემებზე დაყრდნობით, უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის სრულყოფილი, არგუმენტირებული რეპორტის შედგენა, რომელიც დაასაბუთებს (ან უარყოფს) საუნივერსიტეტო ციფრული ეკოსისტემის სრულმასშტაბიანი განვითარების მიზანშეწონილობას.

დ) განხორციელების გზები:

როგორ განახორციელებთ თქვენი პროექტის ამოცანებს?
ამოცანების განხორციელება მოხდება Agile მეთოდოლოგიით, ეტაპობრივად. თავდაპირველად მოხდება აუცილებელი ლიცენზიების შეძენა და სატესტო სერვერის კონფიგურაცია, რაც აუცილებელია iOS და Android აპლიკაციების დასაბილდად და კვლევით გარემოში გასაშვებად. ამის შემდგომ, ფაკულტეტზე მოვიწვევთ სტუდენტთა მიზნობრივ ფოკუს-ჯგუფებს. წამახალისებელი აქტივობების ფონზე, ისინი პრაქტიკაში გატესტავენ აპლიკაციის ფუნქციონალს და მოგვაწვდიან კვლევისთვის აუცილებელ პირველად უკუკავშირს. ტესტირებიდან მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, დეველოპერთა გუნდი აღმოფხვრის გამოვლენილ ხარვეზებს და აპლიკაციის დახვეწილ, საპილოტე ვერსიას ატვირთავს App Store-სა და Google Play-ზე ფართო ტესტირებისთვის. ბოლო ეტაპზე, ფაკულტეტის დერეფნებსა და საინფორმაციო დაფებზე განთავსდება ბეჭდური სარეკლამო მასალები, რათა სტუდენტებმა მარტივად შეძლონ აპლიკაციის გადმოწერა (QR კოდების მეშვეობით) და გამოყენება. ეს პროცესი საშუალებას მოგვცემს დავაკვირდეთ მომხმარებელთა ქცევას, შევაგროვოთ რეალური სტატისტიკა და შევაფასოთ პლატფორმის სამომავლო, მასშტაბური დანერგვის მიზანშეწონილობა.

ვინ მონაწილეობს თქვენი პროექტის განხორციელებაში? რა არის მათი ფუნქციები პროექტში?
პროექტის განხორციელებაში ჩართული იქნება 6-კაციანი პროფესიონალური სტუდენტური გუნდი და მოხალისე სტუდენტების (ტესტერების) ჯგუფი. ფუნქციები გადანაწილდება შემდეგნაირად:

- **ირაკლი ბუკულოვი (პროექტის ხელმძღვანელი / კოორდინატორი):** პასუხისმგებელია პროექტის Agile მეთოდოლოგიით მართვაზე, ბიუჯეტისა და ვადების დაცვაზე, ასევე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ოფიციალურ კომუნიკაციაზე. იგი კოორდინაციას უწევს ტესტირების ფოკუს-ჯგუფებს.

- **ქრისტინე ლიპარტელიანი (UI/UX დიზაინერი):** პასუხისმგებელია მობილური აპლიკაციისა და ვებ-პანელის დიზაინის შექმნაზე. ფოკუს-ჯგუფების ტესტირების ეტაპზე აგროვებს სტუდენტთა უკუკავშირს და ახდენს ინტერფეისის ოპტიმიზაციას საუკეთესო მომხმარებლის გამოცდილების უზრუნველსაყოფად.

- **დავით მამულაძე (Mobile Developer):** უზრუნველყოფს მობილური აპლიკაციის (iOS/Android) Client-side პროგრამირებას, დიზაინის იმპლემენტაციასა და აპლიკაციის ოფიციალურ მაღაზიებში (App Store, Google Play) უსაფრთხოდ ატვირთვას.

- **ლუკა გოგუაძე (Backend Developer / DevOps):** პასუხისმგებელია სერვერული ინფრასტრუქტურის კონფიგურაციაზე, სისტემის მდგრადობის მონიტორინგსა და მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტების დაცვაზე.

- **გიორგი ჩხიკვაძე (Backend Developer):** ავითარებს სერვერულ ლოგიკასა და API-ს, რომლის მეშვეობითაც მობილური აპლიკაცია შეუფერხებლად უკავშირდება მონაცემთა ბაზებს (ცხრილებისა და სიახლეების რეალურ დროში წამოსაღებად).

- **რეზო ალიქაძე (Frontend Developer):** უზრუნველყოფს ვებ-ზე დაფუძნებული ადმინისტრაციული პანელის (Admin Panel) შექმნასა და გამართვას, საიდანაც ფაკულტეტის პასუხისმგებელი პირები შეძლებენ ცხრილების ატვირთვასა და სიახლეების გამოქვეყნებას.
- **მოხალისე სტუდენტები:** მონაწილეობენ ტესტირების სესიებში, პრაქტიკაში ამოწმებენ მობილური აპლიკაციის ფუნქციონალს და გამოავლენენ პოტენციურ ხარვეზებს ფართო გაშვებამდე.

2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

	საგანმანათლებლო მიმართულებით პროექტის - „MyBSU" განხორციელების გეგმა-გრაფიკი						
N	**პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები**	**1 თვე**	**2 თვე**	**3 თვე**	**4 თვე**	**5 თვე**	**6 თვე**
	ეტაპი I						
1	დეველოპერის ლიცენზიების შეძენა და სატესტო სერვერული ინფრასტრუქტურის კონფიგურაცია კვლევისთვის	აპრილი	მაისი				
2	აპლიკაციის სატესტო ვერსიების გენერირება და შესაბამის გარემოში განთავსება	აპრილი	მაისი				
3	კვლევითი ფოკუს-ჯგუფების ფორმირება და ვიდეორგოლის კონცეფციაზე მუშაობის დაწყება	აპრილი	მაისი				
	ეტაპი II						
1	"Bug Bounty" კონკურსის დაწყება და ფოკუს-ჯგუფებისგან პირველადი უკუკავშირის შეგროვება		მაისი				
2	ტესტერების მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღრიცხვა და ტექნიკური ოპტიმიზაცია		მაისი				
3	საინფორმაციო-სარეკლამო ვიდეორგოლის საბოლოო მონტაჟი ფართო ტესტირების წასახალისებლად		მაისი				
	ეტაპი III						
1	სარეკლამო მასალების (QR კოდების) ფაკულტეტში განთავსება საჯარო ტესტირებისა და სტატისტიკის მოსაპოვებლად			ივნისი			
2	სატესტო პერიოდის დასრულება, მომხმარებელთა ქცევისა და სტატისტიკის შეჯამება-ანალიზი			ივნისი			
3	ფინალური ანალიტიკური დასკვნის წარდგენა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისთვის			ივნისი			

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: პროექტის სპეციფიკიდან და კვლევითი ხასიათიდან გამომდინარე, პროექტს გააჩნია როგორც პირდაპირი, ისე საბოლოო მიზნობრივი ჯგუფები:

1. პროექტის პირდაპირი ობიექტები (სამიზნე აუდიტორია): უშუალო მიზნობრივ ჯგუფს წარმოადგენენ ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის აქტიური სტუდენტები. კვლევისა და ტესტირების პროცესი მიმართულია სწორედ მათზე, რადგან ისინი წარმოადგენენ საინფორმაციო წყაროების (ცხრილები, სიახლეები) მთავარ მომხმარებლებს და სწორედ მათი ყოველდღიური სასწავლო პროცესის გამარტივებას ემსახურება შექმნილი პლატფორმა.

2. პროექტის საბოლოო ბენეფიციარები: პროექტის განხორციელების შედეგად პირდაპირ სარგებელს (ფინალური ანალიტიკური დასკვნის სახით) იღებს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა და ფაკულტეტის ადმინისტრაცია. კვლევის შედეგები მათ მისცემს საშუალებას, რეალურ მონაცემებზე დაყრდნობით მიიღონ რაციონალური მენეჯერული გადაწყვეტილება საუნივერსიტეტო სერვისების შემდგომი გაციფრულების (აპლიკაციის ოფიციალური დანერგვის) თაობაზე, რაც სამომავლოდ მნიშვნელოვნად დაზოგავს უნივერსიტეტის ფინანსურ, დროით და ადამიანურ რესურსებს.

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის სპეციფიკიდან (კვლევა და ტესტირება) გამომდინარე, მოსალოდნელი შედეგები იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

ა) რაოდენობრივი მაჩვენებლებით:

- ინტენსიურ სატესტო პროცესებში ჩაერთვება და პირველად უკუკავშირს დატოვებს ფაკულტეტის მინიმუმ 10-15 მოხალისე სტუდენტი.
- საჯარო ტესტირების ეტაპზე აპლიკაციის საპილოტე ვერსიას ჩამოტვირთავს და ავტორიზაციას გაივლის ფაკულტეტის სტუდენტების სამიზნე რაოდენობა (მინიმუმ 50-100 სტუდენტი სტატისტიკური ვალიდურობისთვის).
- მომზადდება და ადმინისტრაციას ჩაბარდება 1 სრულყოფილი ანალიტიკური რეპორტი, რომელიც დაეყრდნობა შეგროვებულ ციფრულ მონაცემებს.

ბ) თვისობრივი მაჩვენებლებით:

- რეალურ პირობებში დადასტურდება (ან უარყოფილ იქნება) სტუდენტური მობილური ეკოსისტემის პრაქტიკული მოთხოვნადობა და გამართულობა.
- გამოვლინდება და აღმოიფხვრება ის ძირითადი პროგრამული/ინტერფეისული ხარვეზები, რომლებიც ხელს უშლის სტუდენტებს ინფორმაციის მიღებაში.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მიიღებს არგუმენტირებულ დოკუმენტს, რომელიც გამორიცხავს ბრმად ინვესტირების რისკებს და უზრუნველყოფს გაციფრულების პროცესის სწორად დაგეგმვას.

გავლენა სტუდენტურ საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე: პროექტის წარმატებით დასრულება შექმნის უპრეცედენტო სტანდარტს ბსუ-ში, როდესაც ტექნოლოგიური სიახლის დანერგვა ხდება არა ზემოდან ქვემოთ, არამედ უშუალოდ სტუდენტების საჭიროებების კვლევითა და მათი მონაწილეობით. ეს მკვეთრად აამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის განცდას და საფუძველს ჩაუყრის უფრო ორგანიზებულ, თანამედროვე და მოქნილ სასწავლო გარემოს.

მონიტორინგი:

პროექტის განხორციელების მონიტორინგი დაყოფილი იქნება ორ ძირითად მიმართულებად და განხორციელდება სისტემატურად, გუნდის შიდა რესურსებითა და უნივერსიტეტის შესაბამისი სამსახურების ჩართულობით:

1. შიდა, ტექნიკური და მენეჯერული მონიტორინგი (პერიოდულობა: ყოველკვირეული):

   - გუნდის ხელმძღვანელი ყოველი კვირის ბოლოს შეაფასებს Agile სქემით გაწერილ შესრულებულ სამუშაოებს და შეადარებს მათ დამტკიცებულ გეგმა-გრაფიკს.

   - ტესტირების ფაზაში მონაცემთა ბაზისა და სერვერული ინფრასტრუქტურის მონიტორინგი იწარმოებს ყოველდღიურ რეჟიმში ტექნიკური გუნდის მიერ, სისტემის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

2. ფინანსური და ადმინისტრაციული მონიტორინგი (პერიოდულობა: ეტაპობრივი/დასკვნითი): პროექტის ფინანსური ნაწილის შესრულება, შესყიდვები და საპრიზო ფონდის განკარგვა განხორციელდება ბსუ-ს საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის წესების სრული დაცვით. პროექტის დასრულებისას კანცელარიაში ჩაბარდება საბოლოო ფინანსური და შინაარსობრივი ანგარიში.

შეფასება:

ვინაიდან წარმოდგენილი პროექტი ატარებს კვლევით და საპილოტე ხასიათს, მისი წარმატება შეფასდება არა მხოლოდ აპლიკაციის პოპულარობით, არამედ ჩატარებული კვლევის სისრულით. პროექტი ჩაითვლება წარმატებულად, თუ დაკმაყოფილდება შემდეგი კრიტერიუმები:

1. ინსტრუმენტის ტექნიკური ვალიდურობა: შეიქმნება და შესაბამის სატესტო პლატფორმებზე (Apple App Store / Google Play Console) წარმატებით აიტვირთება აპლიკაციის საპილოტე მოდელი.
2. სამიზნე აუდიტორიის ჩართულობა: ტესტირების პროცესში ჩაერთვება სტუდენტთა ის წინასწარ განსაზღვრული რაოდენობა, რაც საკმარისია ვალიდური სტატისტიკის შესაქმნელად.
3. უკუკავშირის ხარისხი: ფოკუს-ჯგუფების მუშაობის შედეგად შეგროვდება კონკრეტული და გამოყენებადი მონაცემები ინტერფეისისა და ფუნქციონალის შესახებ.
4. კვლევითი მიზნის მიღწევა (მთავარი ინდიკატორი): შეგროვებული მონაცემებისა და სტატისტიკის საფუძველზე მომზადდება და ადმინისტრაციას ჩაბარდება სრულყოფილი ფინალური რეპორტი, რომელიც დასაბუთებულად უპასუხებს პროექტის მთავარ კითხვას - რამდენად ეფექტურია ამ პლატფორმის უნივერსიტეტის მასშტაბით დანერგვა.
5. ბიუჯეტის მიზნობრიობა: დამტკიცებული ბიუჯეტი ათვისებული იქნება სრულად, მიზნობრივად და ვადების დაცვით.

2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის „MyBSU“

ბიუჯეტი

პროექტის მოკლე აღწერა - პროექტის მიზანია ბსუ-ს ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტზე შეიქმნას და საპილოტე (კვლევით) რეჟიმში დაინერგოს მობილური აპლიკაცია „MyBSU“. პროექტი მოიცავს ტექნიკური ინფრასტრუქტურის გამართვას, სტუდენტურ ფოკუს-ჯგუფებთან ტესტირებას და საჯარო კვლევას, რათა დაიდოს არგუმენტირებული დასკვნა უნივერსიტეტში მსგავსი ციფრული ეკოსისტემის სრულმასშტაბიანი დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ

N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი - წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად						
						I	II	III	I V	V	VI	VII
1	ციფრული ლიცენზიები და iOS კომპილაციის გარემო	Apple Developer Program ლიცენზია, Google Play Console და Cloud macOS-ის 1 კვარტლით გამოწერა აპლიკაციის გენერირებისთვის	650	აპლიკაცია განთავსებულია საჯარო სივრცეში და ხელმისაწვდომია ჩამოსატვირხთად	App Store-სა და Play Store-ზე ატვირთული აპლიკაციის ბმულები.	აპრილი	მაისი					
2	ვიზუალური უზრუნველყოფა (სარეკლამო ვიდეო)	პროფესიონალი ვიდეომემონტაჟის მომსახურება 1 წუთამდესარეკლამო/საინფორმაციო ვიდეორგოლის დასამონტაჟებლად.	700	შეიქმნება მაღალი ხარისხის სარეკლამო ვიდეორგოლი საჯარო ტესტირებაში სტუდენტთა ჩასართავად.	მემონტაჟესთან გაფორმებული ხელშეკრულება და დასრულებული ვიდეოფაილი.		მაისი					

3	პროგრამული (Claude, CodeRabbit, Docker Hub) და დიზაინის (Figma) ლიცენზიები	ტექნიკური გუნდის წევრებისთვის Claude AI -ს CodeRabbit Pro 1 , Docker Hub-ის გამოწერა და UI/UX დიზაინერისთვის Figma Professional	1500	კოდის ავტომატური შემოწმება/ოპტიმიზაცია, ინტერფეისის დიზაინისა და ფინალური რეპორტის სწრაფი და უშეცდომო შესრულება	შესაბამისი პლატფორმების (Claude, CodeRabbit, Figma) გამოწერის ინვოისები.	აპრილი	მაისი	ივნისი				
4	სტუდენტური ტესტირების საპრიზო ფონდი (Bug Bounty)	ტოპ-5 ტესტერის წახალისება ხარვეზების აღმოსაჩენად. I ადგილი-250₾, II-150₾, III-100₾, IV და V - 50-50₾.	600	ფოკუს-ჯგუფის მიერ ინტენსიური ტესტირების შედეგად გამოვლენილი და აღმოფხვრილია ტექნიკური შეცდომები.	გამარჯვებულ 5 სტუდენტზე ჯილდოს გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.		მაისი	ივნისი				
5	ბეჭდური საინფორმაციო მასალები	ფაკულტეტის კორპუსებში განსათავსებელი საინფორმაციო პოსტერებისა და QR სტიკერების ბეჭდვა.	100	ფიზიკურ სივრცეში მყოფი სტუდენტები მარტივად, QR კოდით იწერენ აპლიკაციას.	სტამბის ინვოისი და ფაკულტეტზე გაკრული მასალების ფოტომასალა.			ივნისი				
6	საინიციატივო ჯგუფის ჰონორარი	გუნდის 6 წევრის შრომის ანაზღაურება პროექტის ტექნიკური უზრუნველყოფის, კვლევისა და მართვისთვის (მთლიანი ბიუჯეტის 20%).	700	პროექტი და კვლევითი პროცესი იმართება ორგანიზებულად, ვადებისა და ტექნიკური მოთხოვნების მკაცრი დაცვით.	კანცელარიაში ჩაბარებული პროექტის ფინანსური ანგარიში და ფინალური კვლევითი დასკვნა.			ივნისი				
		სულ:	4250									

„2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 08 აპრილის № 01-18/128 ბრძანების

№2 დანართი

2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი - **„ფორმადქცეული ქიმია“**
(საგანმანათლებლო მიმართულებით)

განმცხადებელი	პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	ანა ჯინჭარაძე (პ/ნ -)	
	სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში)		
	განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი		
	საკონტაქტო მობილურის ნომერი		
	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა		
პროექტის შესახებ	**პროექტის დასახელება** (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად)	ფორმადქცეული ქიმია	
	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
		14/04/2026	**30/06/2026**
		(რიცხვი/თვე/წელი)	(რიცხვი/თვე/წელი)
	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	4120	
	თანადაფინანსება		
	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა		
	ხელმოწერა (პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)		
	თარიღი	**04/04/2026**	
		რიცხვი/თვე/წელი	

პროექტის აღწერა:

ა) **პრობლემის განსაზღვრა:**

უნივერსიტეტის მისიის ფარგლებში მნიშვნელოვანია სტუდენტთა მონაწილეობა ფართომასშტაბიან, მრავალეტაპიან კვლევებში, რომლებიც ხელს შეუწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გადატანას, რაც საბოლოოდ წარმატებით იქნება გამოყენებული მათი პროფესიული საქმიანობისა თუ საზოგადოებრივი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. დღეს სასწავლო პროცესში ნაკლებად არის გამოყენებული სტუდენტთა ჩართულობა ისეთ პროცესებში, რომლებიც გულისხმობს მასალების დამუშავების სრულ ციკლში მონაწილეობას- ,,ნულიდან'' პროდუქტის შექმნამდე, რაც მოიცავს სტუდენტთა სრულფასოვან განვითარებას პრაქტიკული ქიმიის მიმართულებით. აქედან გამომდინარე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთი ინიციატივების განხორციელება, რომელიც ერთდროულად გააუმჯობესებს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესს და გაზრდის სტუდენტთა ჩართულობას მრავალეტაპიან კვლევით საქმიანობაში. ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ბუნებრივი მასალა, რომელიც მოითხოვს მრავალეტაპიან კვლევით პროცესს არის თიხა. თიხა წარმოადგენს საქართველოსთვის მატერიალური კულტურის ფორმას, რომელსაც უძველესი ტრადიცია და ისტორია აქვს. გარდა ამისა თიხა ეკოლოგიურად სუფთა მასალაა, რომლისგან დამზადებული ჭურჭელიც მრავალი სასარგებლო თვისების მატარებელია.იგი არა მხოლოდ კერამიკულ და სამშენებლო მასალას წარმოადგენს, არამედ მისი ანტიოქსიდანტური აქტივობისა და ადსორბციის უნარის გამო დიდ ყურადღებას იქცევს სამედიცინო და კოსმეტიკურ სფეროშიც.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველო მდიდარია თიხის ბუნებრივი რესურსით, რომელიც გავრცელებულია ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონში, რაც ქმნის მნიშვნელოვან პოტენციალს კერამიკული წარმოების განვითარებისთვის. თუმცა მიუხედავად რესურსის სიუხვისა, ცალკეულ რეგიონებში მათ შორის აჭარაშიც, ტრადიციული საქმიანობა-მეთუნეობა მივიწყებულია და ამ სფეროთი დღეს არავინ არის დაკავებული, რაც ამ დარგის განვითარების საჭიროებაზეც მიუთითებს. ამასთანავე, ქვეყნის მასშტაბით ნაკლებად შესწავლილი და გამოკვლეულია თიხის ცალკეული ნიმუშების შემადგენლობა. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროექტის ,,ფორმადქცეული ქიმია'' ფარგლებში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სპეციალობის სტუდენტებს ექნებათ შესაძლებლობა გამოიკვლიონ ზემო აჭარიდან მოპოვებული თიხა, დაადგინონ მისი ელემენტური შედგენილობა, რომლის შედეგებიც სასარგებლო იქნება ისეთი სფეროებისთვის როგორიცაა არქეოლოგია, ეთნოგრაფია, მხარეთმცოდნეობა, შეითვისონ თიხის დამუშავების ტექნოლოგია, რაც პრაქტიკული ქიმიის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს, შემდეგომში კი თავიანთი ცოდნა და გამოცდილება გაუზიარონ ფართო საზოგადოებას, რაც ხელს შეუწყობს ამ საქმიანობით დაინტერესებას და დარგის პოპულარიზაციას აჭარის რეგიონში.

ბ) **მიზანი:**

პროექტის მიზანია გამოვიკვლიოთ ადგილობრივი თიხა, დავადგინოთ მისი ელემენტური შედგენილობა, შევისწავლოთ თიხის დამუშავების ტექნოლოგია, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში ახალი კვლევითი მიმართულებების განვითარებას და სტუდენტთა ჩართულობას მრავალეტაპიან პრაქტიკულ კვლევაში. ამასთანავე ადგილობრივი რესურსების გამოყენებით წავახლისოთ ინოვაციური სწავლების მეთოდები, რაც გააძლიერებს უნივერსიტეტის აკადემიურ იმიჯს.

გ) **ამოცანები:**

პროექტის განსახორციელებლად გადასაჭრელი შემდეგი ამოცანებია:

1. პროექტის მონაწილეთა ვიზიტი ზემო აჭარაში. ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრება და მათგან ინფორმაციის მიღება თიხის გავრცელებისა და დამუშავების შესახებ. მონაწილეთა მიერ თიხის მოპოვება და მომზადება დამუშვებისთვის.
2. მოპოვებული თიხის ქიმიური ანალიზი.
3. სპეციალისტის მოწვევა და თიხის ჭურჭლის დამზადების შესახებ მასტერკლასების ჩატარება.
4. პროექტის მონაწილეთა მიერ თიხის ნაკეთობების დამზადება. დამზადებული ნაკეთობების გამოწვა, მოჭიქურება, მოხატვა და ბრენდირება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლოგოთი.
5. მონაწილეთა მიერ დამზადებული ნაკეთობებისა და საინფორმაციო სტენდების გამოფენა.
6. პროექტის შედეგების განთავსება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ვიზუალური მასალის გამოყენებით და პროექტის ანგარიშის შედგენა.

დ) **განხორციელების გზები:**

პროექტის განხორციელებაში მონაწილეობენ ქიმიის სპეციალობის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, რომლებსაც კონსულტირებას გაუწევენ როგორც უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისე მოწვეული თიხის სპეციალისტი.

პირველი და მეორე ამოცანების განხორციელებაში მონაწილეობას მივიღებთ სტუდენტები, რომლებსაც კონსულტირებას გაუწევენ დეპარტამენტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი. ჩვენს მიერ შეგროვებული იქნება ინფორმაცია ზემო აჭარაში თიხის გავრცელების არეალის და დამუშავების შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის დახმარებით. მოპოვებული იქნება ნედლეული(თიხა) ნაკეთობების დასამზადებლად დადგინდება თიხის ქიმიური და მინერალური შედგენილობა.

მესამე ამოცანის განხორციელებაში სტუდენტებთან ერთად ჩართული იქნება კომპეტენტური პირი, რომელიც სტუდენტებს ჩაუტარებს მასტერკლასებს თიხის ჭურჭლის დამზადების შესახებ.

მე-4 ამოცანის განხორციელებაში მონაწილეობას მივიღებთ სტუდენტები. ჩვენს მიერ დამზადდება თიხის ნაკეთობები ,მოხდება ნაკეთობების გამოწვა, მოხატვა, მოჭიქურება და ბრენდირება ბსუ-ს ლოგოთი.

მე-5 ამოცანის შესასრულებლად მოეწყობა გამოფენა, სადაც პროექტის მონაწილეები წარადგენენ მათ მიერ დამზადებულ ნაკეთობებს და ცნობიერების ამაღლების მიზნით წარმოადგენენ საინფორმაციო სტენდებს.

მე-6 ამოცანის შესასრულებლად პროექტის შედეგები განთვსდება ფაკულტეტის ვებ-გვერდზე ვიზუალური მასალის გამოყენებით და შედგება პროექტის ანგარიში.

2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი
(შესრულების გეგმა)

	საგანმანათლებლო მიმართულებით პროექტის - „ფორმადქცეული ქიმია" განხორციელების გეგმა-გრაფიკი						
N	**პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები**	**1 თვე**	**2 თვე**	**3 თვე**	**4 თვე**	**5 თვე**	**6 თვე**
	ეტაპი I						
1	პროექტის მონაწილეთა ვიზიტი ზემო აჭარაში. ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრება და ინფორმაციის მიღება თიხის გავრცელებისა და დამუშავების შესახებ. მონაწილეთა მიერ თიხის მოპოვება და დამუშავებისთვის მომზადება.	+					
2	მოპოვებული თიხის ქიმიური ანალიზი.	+					
	ეტაპი II						
1	სპეციალისტის მოწვევა და თიხის ჭურჭლის დამზადების შესახებ მასტერკლასების ჩატარება.		+				
2	პროექტის მონაწილეთა მიერ თიხის ნაკეთობების დამზადება.		+				
3	დამზადებული ნაკეთობების გამოწვა, მოჭიქურება, მოხატვა, ბრენდირება ბსუ-ს ლოგოთი.		+				
	ეტაპი III						
1	მონაწილეთა მიერ დამზადებული ნაკეთობების დასაინფორმაციო სტენდების გამოფენა			+			
	ეტაპი IV			+			
1	პროექტის შედეგების ანგარიში			+			

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:

ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები და საზოგადოების სხვა წარმომადგენლები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან თიხაზე მუშაობით.

მოსალოდნელი შედეგები:

(შენიშვნა: ამ ნაწილში უნდა აღიწეროს ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც დადგება წარმოდგენილი პროექტის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში. სასურველია შედეგები დაიყოს შემდეგნაირად: ა) რაოდენობრივი მაჩვენებლებით; ბ) თვისობრივი მაჩვენებლებით; ასევე სასურველია მიუთითოთ რა გავლენა შეიძლება იქონიოს განხორციელებულმა პროექტმა სფეროზე/მიმართულებაზე ან/და სტუდენტთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაზე და ა.შ.)

ა) სტუდენტები, რომლებიც დაეუფლებიან თიხის დამუშვების ტექნიკას და მისგან დაამზადებენ ნაკეთობებს შემდგომში გაუზიარებენ მათ გამოცდილებას სხვა სტუდენტებს, მომავალ სტუდენტებს, სკოლის მოსწავლეებს ან თუნდაც რიგით ადამიანებს, რაც გაზრდის ამ სფეროს მიმართ ინტერესს.

ბ) პროექტის წარმატებით დასრულების შემთხვევაში სტუდენტები, რომელებიც შეისწავლიან თიხის დამუშავებას კვლავ განაგრძობენ ამ საქმიანობას უნივერსიტეტში, დაამზადებენ სუვენირებს უნივერსიტეტის ლოგოთი, რაც უნივერსიტეტს უფრო მიმზიდველს გახდის როგორც ქიმიის სპეციალობის(და არა მარტო) პოტენციური სტუდენტებისთვის ასევე მოწვეული სტუმრებისთვის, რაც ხელს შუწყობს როგორც ქიმიის პოპულარიზაციას, ამავე დროს ამ კუთხით უნივერსიტეტს გახდის კონკურენტუნარიანს.

მონიტორინგი:

პროექტის შერულების მონიტორნგი შეიძლება განხორციელდეს ეტაპების მიხედვით აქტივობების დამადასტურებელი დოკუმენტებით, როგორიცაა: ფოტო და ელექტრონული მასალა, პროექტის დასრულების შემდეგ კი დეტალური ანგარიშით განხორციელებული ეტაპებისა და მიღებული შედეგების შესახებ.

შეფასება:

პროექტის წარმატებას განაპირობებს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის და თიხის სპეციალისტების ერთობლივი ჩართულობა პროექტის განხორციელების ეტაპებზე.

	2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის „ფორმადქცეული ქიმია“ ბიუჯეტი											
	პროექტის მოკლე აღწერა - პროექტი ითვალისწინებს უნივერსიტეტის მისიას სტუდენტთა ჩართვის შესახებ ფართომასშტაბიან, მრავალეტაპიან კვლევებში, რომლის ფარგლებშიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის სპეციალობის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ გამოიკვლიონ ზემო აჭარიდან მოპოვებული თიხა, დაადგინონ მისი ელემენტური შედგენილობა და დაეფულონ თიხის დამუშავების ტექნოლოგიას.											
N	განსახორციელებელი აქტივობის/ ღონისძიების/ ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად						
1	ტრანსპორტი ზემო აჭარაში სამოძრაოდ	300	300	მოპოვებული იქნება თიხის ნიმუში	მოპოვებული იქნება თიხის ნიმუში	აპრილი						
2	ჭურჭელი და რეაქტივები ანალიზის ჩასატარებლად	ეთანოლი-1 ლიტრი DDPH-1 გრამი მეთილენის ლურჯი-0,5 გრამი სინჯარები-50 ცალი ბრტყელძირა კოლბები- 2 ცალი პიპეტები-50 ცალი	1500	პროექტის მიმდინარეობისას ჭურჭელი და რეაქტივები გამოყენებული იქნება ანალიზის ჩასატარებლად.	დადგინდება თიხის ელემენტური შედგენილობა	აპრილი -მაისი						
3	კონსულტანტ-სპეციალისტი	მასტერკლასების ჩატარება თიხისგან სხვადასხვა ნაკეთობების დამზადების შესახებ	2100	ჩატარდება მასტერკლასები თიხის დამუშავების შესახებ	მასტერკლასების საფუძველზე დამზადდება თიხის სხვადასხვა ნაკეთობა	მაისი						
4	საკანცელარიო ნივთები	A1 ფორმატის პლაკატები 2 ცალი- 2*15=30ლარი ხის დასადგმელი სტენდები(მოლბერტი) 2 ცალი- თითოს ფასი 85 ლარი: 85*2=170	200	საკანცელარიო ნივთები გამოყენებული იქნება პროექტის დასკვნითი ღონისძიების მოსაწყობად.	საკანცელარიო ნივთები გამოყენებული იქნება პროექტის დასკვნითი ღონისძიების მოსაწყობად.	ივნისი						
5	სერტიფიკატები	10 ცალი, თითოს ფასი 2 ლარი(მყარი ფურცელი): 10*2=20 ლარი	20	სერტიფიკატები გადაეცემათ პროექტის მონაწილეებს პროექტის დასრულებისას.	სერტიფიკატები გადაეცემათ პროექტის მონაწილეებს პროექტის დასრულებისას.	ივნისი						

„2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 08 აპრილის № 01-18/128 ბრძანების

№3 დანართი

2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი - „მოლაშქრე სტუდენტები“
(სპორტული მიმართულებით)

განმცხადებელი	**პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი**	დიანა კოჩალიძე (პ/ნ -	
	სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში)		
	განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი	ფერია	
	საკონტაქტო მობილურის ნომერი		
	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა		
პროექტის შესახებ	**პროექტის დასახელება** (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად)	„მოლაშქრე სტუდენტები ”	
	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები	**დაწყების თარიღი**	**დასრულების თარიღი**
		15/----04-----/-2026-----	**30/----06-----/---2026---**
		(რიცხვი/თვე/წელი)	**(რიცხვი/თვე/წელი)**
	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	2450	
	თანადაფინანსება	0	
	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა	2450	
	ხელმოწერა **(პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)**		
	თარიღი	5--/----04-----/----2026--	
		რიცხვი/თვე/წელი	

პროექტის აღწერა:

ა) პრობლემის განსაზღვრა:

თანამედროვე უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს სტუდენტთა ჩართულობის შეზღუდულობა პრაქტიკულ და არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში. სასწავლო პროცესი უმეტესად ორიენტირებულია თეორიულ სწავლებაზე, რაც არ იძლევა საკმარის შესაძლებლობას სტუდენტებმა რეალურ გარემოში განავითარონ პრაქტიკული უნარები, როგორიცაა გუნდური მუშაობა, გადაწყვეტილებების მიღება და პრობლემების გადაჭრა.

ამასთანავე თანამედროვე სტუდენტური ცხოვრების ერთ-ერთი აქტუალური გამოწვევა არის აქტიური და ჯანსაღი დასვენების ფორმების ნაკლებობა, რაც ასევე შეიმჩნევა ბსუ-ს სტუდენტებში. მიუხედავად იმისა, რომ აჭარა გამოირჩევა უნიკალური ბუნებრივი გარემოთი და მრავალფეროვანი ლაშქრობის შესაძლებლობებით, სტუდენტების დიდი ნაწილი არ არის ჩართული ამ აქტივობაში და არ ფლობს შესაბამის ცოდნასა და გამოცდილებას.

პრობლემა გამოიხატება იმაშიც, რომ სტუდენტებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა ლაშქრობის დაგეგმვის, უსაფხრთოების წესებისა და ადგილობრივი მარშრუტების შესახებ, რის გამოც ეს აქტივობა მათთვის რთულად და ხშირად მიუწვდომლად აღიქმება. ამასთანავე, გავრცელებულია მცდარი აზრი, რომ ლაშქრობის დაგეგმვა ძალიან რთული პროცესია და დიდ რესურსებს მოითხოვს, რაც დამატებით აფერხებს სტუდენტების ინტერესს და ჩართულობას.

მნიშვნელოვანი ფაქტორია ისიც, რომ სტუდენტური ცხოვრება ხშირად დაკავშირებულია რუტინულ სწავლასთან, რაც იწვევს გადაღლილობასა და სტრესს. ასეთ პირობებში სტუდენტებს სჭირდებათ მრავალფეროვანი გარემო, რომელიც მათ მისცემს საშუალებას ფსიქოლოგიურად დაისვენონ, აღიდგინონ ენერგია და ამასთანავე მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება. სწორედ ამას სთავაზობს ჩემი პროექტი სტუდენტებს.

შედეგად, იკვეთება, რომ ერთი მხრივ თეორიული მასალის პრაქტიკაში გადატანა არასაკმარისად ხდება, ხოლო მეორეს მხრივ სტუდენტებს ხშირად სჭირდებათ რუტინული ცხოვრებისგან თავის დაღწევა და ენერგიის აღდგენა, ამის შესაძლებლობა შეზღუდულია. ამასთანავე დამატებით პრობლემას, წარმოადგენს ისიც, რომ არ არიან სათანადოდ ინფორმირებული სტუდენტები ლაშქრობის შესახებ.

ბ) მიზანი:

(I) ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სტუდენტებისათვის მრავალფეროვანი გარემოს შექმნაა, რაც ხელს უწყობს მათი პიროვნული, აკადემიური და სოციალური განვითარების გაძლიერებას. ჩემი პროექტი მნიშვნელოვნად ეხმარება ამ მიზნის განხორციელებაში, რადგან უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის ახალი აქტივობის შეთავაზებას.

(II) სტუდენტებში პრაქტიკული უნარების განვითარება, როგორიცაა გუნდური მუშაობა, ლიდერობა და პრობლემების გადაჭრა რეალურ გარემოში;

(III) უზრუნველყოს გარემო, რომელიც სტუდენტებს საშუალებას მისცემს რუტინული ცხოვრებისგან თავის დაღწევა, ფსიქოლოგიური განტვირთვა და ენერგიის აღდგენა.

(IV) სტუდენტებს მიეწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ლაშქრობის დაგეგმვის, უსაფრთხოების წესებისა და ადგილობრივი მარშრუტების შესახებ, რათა აქტივობა მათთვის საინტერესო და უსაფრთხო გახდეს

(V) გააქარწყლოს ლაშქრობასთან დაკავშირებული ნეგატიური დამოკიდებულება.

(VI) ხელი შეუწყოს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას, ინტერესის ზრდას პრაქტიკული აქტივობებისა და ჯანსაღი ცხოვრებისადმი, რაც დადებითად აისახება სასწავლო პროცესსა და პროფესიულ განვითარებაზე.

(VII) შექმნას შესაძლებლობა სტუდენტებმა ერთმანეთს დაუკავშირონ გამოცდილება, განავითარონ გუნდური უნარები და პრაქტიკული გამოცდილება, რაც დაეხმარებათ მომავალ პროფესიულ საქმიანობაში

(VIII) აგრეთვე პროექტის განმავლობაში იყვნენ სრულიად აღჭურვილნი, საჭირო ნივთებით, რათა პროექტის განმავლობაში არ შეექმნათ არაანაირი დაბრკოლება, როგორც დელეგატებს ასევე ხელმძღვანელებს.

გ) ამოცანები:

(I) დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად შეირჩეს პროექტში მონაწილე სტუდენტები.

(II) დაიგეგმოს და ჩატარდეს ტრენინგი, რომელიც აუხსნის შერჩეულ სტუდენტებს, თუ როგორ მოქცნენ ლაშქრობის დროს.

(III) შეირჩევა კონკრეტული ლაშქრობის მარშრუტი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხო და საინტერესო გარემოს სტუდენტებისთვის.

(IV) განხორციელდეს ლაშქრობა, რომლის დროსაც სტუდენტები მოინახულებენ არჩეულ მარშრუტს და შეისწავლიან ადგილობრივ გარემოს.

(V) ბსუ-ს სტუდენტებისთვის პრეზენტაციის სახით გამოცდილების გაზიარება.

დ) განხორციელების გზები:

(I) პროექტში მონაწილეობის მსურველი სტუდენტები დარეგისტრირდებიან Google form-ის აპლიკაციით; შერჩევის ძირითადი კრიტერიუმია მოტივაცია;

(II) დაიგეგმება და ჩატარდება ტრენინგი, რომელიც აუხსნის შერჩეულ სტუდენტებს, როგორ მოიქცნენ ლაშქრობის დროს. ტრენინგში შედის: უსაფრთხოების წესები, აღჭურვილობის სწორად გამოყენება, ჯგუფური კორდინაცია და გარემოს დაცვა. ტრენინგს ხელმძღვანელობს ტრენერი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა იცოდნენ ლაშქრობისთვის აუცილებელი ყველა საჭირო წესი.

(III) შეირჩევა კონკრეტული ლაშქრობის მარშრუტი, რომელიც იქნება უსაფრთხო და გამოუცდელებზე გათვლილი.

გვეყოლება ორი გიდი, რომლებიც პასუხისმგებელია მარშრუტის დაგეგმვასა და ორგანიზებაზე, სთავაზობს უსაფრთხო გზებს, ადგენს გადაადგილების გეგმას და ასწავლის ადგილობრივი გარემოს თავისებურებებს.

(IV) ლაშქრობის ეფექტურად განხორციელების, მიზნით ვთანამშრომლობ რესტორან ,,ტერასა ტვიშთან", რომლისგანაც შევიძენთ მზა საკვებს.

(V) სტუდენტები მოინახულებენ არჩეულ მარშრუტს, შეისწავლიან ადგილობრივ გარემოს და პრაქტიკაში შეძლებენ მიღებული ცოდნის გამოყენებას.

- საქართველოს წითელი ჯვრის წევრი უზრუნველყოფს პირველად დახმარებას საჭიროების შემთხვევაში.
- ტრენერი აკონტროლებს წესების დაცვას, უსაფრთხოების სტანდარტების შესრულებას.
- პროექტის ხელმძღვანელი ზედამხედველობს პროცესს, უზრუნველყოფს აქტივობების ორგანიზებას და უსაფრთხოებას.

(VI) პროექტის დასრულების შემდეგ, სტუდენტები გაუზიარებენ თავიანთ გამოცდილებას პრეზენტაციის სახით ბსუ-ს სტუდენტებს .

2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი (შესრულების გეგმა)

	სპორტული მიმართულებით პროექტის - „მოლაშქრე სტუდენტები" განხორციელების გეგმა-გრაფიკი						
N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	აპრილი	მაისი	ივნისი			
	ეტაპი I						
1	შექმნა და გაგზავნა Google form ანკეტის	x	x				
2	სტუდენტების გადახარისხება/გადარჩევა	x	x				
3	შერჩეული სტუდენტების ინფორმირება	x	x				
	ეტაპი II						
1	ტრენინგის ჩატარება (უსაფრთხოება, აღჭურვილობა)		x				
2	ლაშქრობის მარშრუტის დეტალური დაგეგმვა		x				
3	კვების უზრუნველყოფა (მზა საკვების შეკვეთა)		x				
	ეტაპი III						
1	**ლაშქრობის განხორციელება** (მტირალას ეროვნული პარკი /შეთანხმებით)		x				
	ეტაპი IV						
1	გამოცდილების გაზიარება / პრეზენტაციის ჩატარება		x				
2	პროექტის დახურვა და ფინანსური ანგარიშის წარდგენა			x			

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:
პროექტი აერთიანებს ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის სტუდენტებს, რაც უზრუნველყოფს ინტერდისციპლინურ თანამშრომლობასა და გამოცდილების გაზიარებას; შეირჩევიან სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან აქტიური ცხოვრების წესით, გარემოს დაცვითა და არაფორმალური განათლებით. სტუდენტების რაოდენობა საერთო ჯამში შეადგენს 16 სტუდენტს.

მოსალოდნელი შედეგები: სტუდენტების აქტიური ჩართულობა ლაშქრობაში და პრაქტიკულ აქტივობებში; მონაწილეთა მიერ გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება; ბუნებრივი გარემოსა და კულტურული სივრცის შესახებ ცოდნის გაღრმავება; ფიზიკური აქტივობის ზრდა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; სტუდენტებში მოტივაციის ამაღლება არაფორმალურ საგანმანათლებლო აქტივობებში მონაწილეობის მიმართ.

პროექტის ფარგლებში ჩატარებული ტრენინგისა და პრაქტიკული აქტივობის შედეგად სტუდენტები გაეცნობიან ლაშქრობის დაგეგმვის, უსაფრთხოების წესებისა და აღჭურვილობის და სწორად გამოყენების პრინციპებს, რაც მომავალში მათ დამოუკიდებლადაც მისცემს მსგავსი აქტივობების ორგანიზების შესაძლებლობას

ასევე მოსალოდნელია სტუდენტების ჩართულობისა და ინტერესის ზრდა ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების წესის მიმარ. ლაშქრობა მათ მისცემს შესაძლებლობას, განიტვირთონ ფსიქოლოგიურად, დაძლიონ ყოველდღიური სტრესი და აღადგინონ ენერგია, რაც დადებითად აისახება როგორც აკადემიურ შედეგებზე, ისე ზოგად კეთილდღეობაზე.

პროექტი ხელს შეუწყობს სტუდენტებს შორის კომუნიკაციის, გუნდური მუშაობის და ურთიერთთანამშრომლობის და უნარების განვითარება, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია მათი პიროვნული და პროფესიული ზრდისთვის.

გარდა ამისა, პროექტის დასასრულს ჩატარებული პრეზენტაციის საშუალებით მოხდება მიღებული გამოცდილების გაზიარება სხვა სტუდენტებისთვის, რაც გაზრდის ინფორმირებულობას და ხელს შეუწყობს მსგავსი აქტივობების პოპულარიზაციას უნივერსიტეტში. საბოლოდ, პროექტის შექმნის პრაქტიკულ, უსაფრთხო და საინტერესო გარემოს, სადაც სტუდენტები შეძლებენ როგორც ცოდნის გაღრმავებას, ასევე ახალი გამოცდილებისა და უნარების მიღებას.

მონიტორინგი: მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების სპორტისა და კულტურის დეპარტამენტი.

შეფასება: პროექტის წარმატება შეფასდება შემდეგი სავარაუდო კრიტერიუმების საფუძველზე, რომლებიც განსაზღვრავენ მიზნების შესრულებასა და და ეფექტურობას:

- რამდენი სტუდენტი დაესწრო ლაშქრობას, ტრენინგებს.
- რამდენად სწორად გამოიყენა თეორიული ცოდნა პრაქტიკული სიტუაციების დროს.
- რამდენად დაცულია უსაფრთხოების სტანდარტები ლაშქრობის დროს .
- საჭიროების შემთხვევაში პირველადი დახმარების ეფექტურობა .
- სტუდენტების თვითშეფასება ლაშქრობის დასრულების შემდეგ.
- გიდის, წითელი ჯვრის წევრისა და ხელმძღვანელის ეფექტური ჩართულობა.
- სტრესის შემცირება და მოტივაციის ზრდის დადასტურება,
- რამდენად ეფექტურად გაუზიარეს სტუდენტებმა თავიანთი გამოცდილება პრეზენტაციის ფორმატში ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის სხვა სტუდენტებს.
- პროექტის გეგმის შესრულების შესაბამისობა .
- საკვების, აღჭურვილობისა და ჯგუფური აქტივობების ორგანიზებულობა.

	2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის -,,მოლაშქრე სტუდენტები" ბიუჯეტი					
	პროექტის მოკლე აღწერა - სტუდენტებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ისინი თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში გამოიყენებენ, მიიღებენ გიდის დაკვირვების შედეგად სამუშაო გამოცდილებას და განავითარებენ პროფესიულ და გუნდურ უნარებს, ამასთან ერთად ისინი შეძლებენ დასვენებას და ფსიქოლოგიურ განტვირთვას.					

N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად						
						აპრილი	მაისი	ივნისი				
1	კვება / ჰიგიენური საშუალებები	დღის განმავლობაში მონაწილე სტუდენტთა კვება	800	მთავარი მიზანია დღის გახალისება. ახალი ენერგით აივსებიან და ლაშქრობისთვის იქნებიან მზად ფიზიკურად.	მათი ლაშქრობის პროცესი ნაყოფიერი იქნება, ისინი გასხსნილად და გონიერად იაზროვნებენ და მათი განწყობაც და შეხედულებებიც ერთიორად ამაღლდება!		მაისი	ივნისი				
2	ტრანსპორტი	გადაადგილება მტირალას ეროვნული პარკის მიმართულებით	500	უზრუველყოფილი იქნებიან სტუდენტების უსაფრთხოდ გადადგილებას დადგენილ მარშრუტზე.	მონაწილეები შეძლებენ კომფორტული ტრანსპორტით მგზავრობას და უსაფრთხოდ დაბრუნებას . უზრუნველყოფილი იქნებიან		მაისი	ივნისი				
3	პირველადი დახმარების სამედიცინო აღჭურვილობა	გადაუდებელი საჭიროებისთვის	350	იმ შემთხვევაში თუ იქნება საჭიროება გაეწევათ ამ აღჭურვილების საშუალებით პირველადი სამედიცინო დახმარება.	მაქსიმალურად დაცული იქნება სტუდენტის ჯამრთელობა		მაისი	ივნისი				
4	გიდის/ტრენერის ანაზღაურება	გიდის შორმის ანაზღაურება	800	ისინი იქნებიან მოტივირებულები და პირნათლად შეასრულებენ მასზედ დაკისრებულ მოვალეობებს.			მაისი	ივნისი				

„2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 08 აპრილის № 01-18/128 ბრძანების

№4 დანართი

2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი - **„ახალგაზრდა მეცნიერთა ბანაკი“**
(საგანმანათლებლო მიმართულებით)

განმცხადებელი	პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	მარი ყულჯანიშვილი (პ/ნ [redacted])	
	სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში)	„სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოება“	
	განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი	[redacted]ა	
	საკონტაქტო მობილურის ნომერი	[redacted]	
	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა	[redacted]	
პროექტის შესახებ	პროექტის დასახელება (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად)	„ახალგაზრდა მეცნიერთა ბანაკი“	
	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
		15/04/2026	30/06/2026
		(რიცხვი/თვე/წელი)	(რიცხვი/თვე/წელი)
	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	6300	
	თანადაფინანსება	0 ლარი	
	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა		
	ხელმოწერა (პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)		
	თარიღი	03/04/2026	
		რიცხვი/თვე/წელი	

პროექტის აღწერა:

ა) **პრობლემის განსაზღვრა:**

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტები ხშირად აწყდებიან აკადემიური წერისა და კვლევითი საქმიანობის მნიშვნელოვან ბარიერებს. აღნიშნული გამოწვევები ძირითადად სამ მიმართულებად შეიძლება დავყოთ:

I. სტრუქტურული გაურკვევლობა - მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტებს გააჩნიათ საინტერესო და პერსპექტიული კვლევითი იდეები, მათ ხშირად უჭირთ ამ იდეების აკადემიური სტანდარტების შესაბამისად ჩამოყალიბება, ნაშრომის ლოგიკური სტრუქტურის გამართვა და არგუმენტირებული მსჯელობის განვითარება.

II. წყაროებთან მუშაობის სირთულე - ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს სანდო აკადემიური ლიტერატურის მოძიება, კრიტიკული შერჩევა და გამოყენება. ასევე, სტუდენტები ხშირად არ ფლობენ ციტირების საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ზრდის პლაგიატის რისკს და ამცირებს ნაშრომის აკადემიურ ხარისხს.

III. პრეზენტაციის უნარების ნაკლებობა - ხშირ შემთხვევაში, სტუდენტთა მიერ შესრულებული კვლევითი ნაშრომი შინაარსობრივად ხარისხიანია, თუმცა მათი საჯაროდ წარმოდგენა, არგუმენტების ეფექტურად გადმოცემა და აუდიტორიასთან კომუნიკაცია სუსტ მხარედ რჩება.

აღნიშნული ბარიერები მნიშვნელოვნად აფერხებს სტუდენტების ჩართულობას თუნდაც უნივერსიტეტის სტუდენტურ კონფერენციებში, რაც, თავის მხრივ, ამცირებს უნივერსიტეტის სამეცნიერო პოტენციალს. პრობლემის გადაჭრა განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან იგი პირდაპირ უკავშირდება ბსუ-ს 2025-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტს - საგანმანათლებლო-კვლევითი გარემოს გაძლიერებას და ახალგაზრდების აქტიურ ჩართულობას სამეცნიერო პროცესებში. არსებული პრაქტიკა აჩვენებს, რომ სტანდარტულ საუნივერსიტეტო გარემოში (ლექციებსა და სემინარებს შორის პერიოდში) განხორციელებული ტრენინგები ხშირად ვერ ამართლებს, რადგან სტუდენტებს უჭირთ ბოლომდე კონცენტრირება, შესაბამისად, გამოიკვეთა საჭიროება ალტერნატიული, უფრო ინტენსიური და შედეგზე ორიენტირებული ფორმატის დანერგვისა ამ მიზნით, მიზანშეწონილია აკადემიური უნარების განვითარება განხორციელდეს ქალაქ გარეთ გასვლითი, ინტენსიური სამუშაო შეხვედრების - „სამეცნიერო ბანაკის" ფორმატში.

იდეა მარტივია: ყოველდღიური რუტინისა და სტრესისგან შორს, ბუნებაში, სტუდენტები შეძლებენ მთელი ყურადღება კვლევაზე გადაიტანონ. გუნდური მუშაობით ისინი პრაქტიკაში განავითარებენ აკადემიური წერის, კვლევისა და პრეზენტაციების კეთების უნარებს , რაც საბოლოოდ მათ ნაშრომებს ბევრად უფრო ხარისხიანს გახდის.

ბ) **მიზანი:**

პროექტის მთავარი მიზანია, ქალაქ გარეთ გასვლითი სამუშაო შეხვედრების ფორმატში, სტუდენტებში განავითაროს აუცილებელი აკადემიური და კვლევითი უნარები და უზრუნველყოს მათი სრულყოფილი მზადყოფნა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისთვის.

კერძოდ, პროექტი მიზნად ისახავს:

I. ანალიტიკური და მეთოდოლოგიური უნარების განვითარებას - სტუდენტებში კვლევის დიზაინის დაგეგმვის, შესაბამისი მეთოდების შერჩევისა და პრაქტიკული გამოყენების უნარის ფორმირებას;

II. აკადემიური კეთილსინდისიერების გაძლიერებას - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ციტირებისა და რეფერირების პრინციპების პრაქტიკულ ათვისებას, პლაგიატის პრევენციისა და აკადემიური ეთიკის დამკვიდრების მიზნით;

III. კონფერენციისთვის მზაობის უზრუნველყოფას - აკადემიური წერის სტილის დახვეწას, ლოგიკური და არგუმენტირებული ტექსტის შექმნას, ასევე რთული სამეცნიერო საკითხების ეფექტურად პრეზენტირების უნარის განვითარებას.

საბოლოო ჯამში, პროექტი მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სადაც თეორიული ცოდნა მყისიერად გარდაიქმნება პრაქტიკულ უნარებად. აღნიშნული მიდგომა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სტუდენტთა ინტეგრაციას მაღალი აკადემიური სტანდარტების მქონე სამეცნიერო საზოგადოებაში და გაზრდის მათ კონკურენტუნარიანობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

გ) ამოცანები:

პროექტის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სტუდენტების კვლევითი უნარების ეტაპობრივ განვითარებას. პირველ რიგში, მონაწილეებს დაეხმარებიან საკუთარი კვლევითი თემების სწორად ჩამოყალიბებაში — როგორ გადააქციონ ზოგადი იდეა კონკრეტულ და პრაქტიკულად გამოსადეგ საკვლევ კითხვად. ამ პროცესში ისინი ისწავლიან, როგორ დაგეგმონ კვლევა ისე, რომ თითოეული ნაბიჯი ლოგიკურად იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული და საბოლოო შედეგზე იყოს ორიენტირებული.

შემდეგ ეტაპზე სტუდენტები გაეცნობიან საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში მუშაობის პრინციპებს. ისინი პრაქტიკულად ისწავლიან, როგორ მოძებნონ სანდო წყაროები, როგორ გაარჩიონ მნიშვნელოვანი და არასასარგებლო ინფორმაცია და როგორ გამოიყენონ ეს მასალა საკუთარი ნაშრომის გასაძლიერებლად. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ლიტერატურის მიმოხილვის სწორად შედგენას, რაც დაეხმარებათ არა მხოლოდ ინფორმაციის გადმოცემაში, არამედ მის გააზრებასა და ანალიზში.

პარალელურად, პროექტი ხელს შეუწყობს აკადემიური წერის უნარების განვითარებას. სტუდენტები ისწავლიან, როგორ ააწყონ ნაშრომი მკაფიო სტრუქტურით — შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა — და როგორ ჩამოაყალიბონ საკუთარი აზრები ლოგიკურად, გასაგებად და არგუმენტირებულად. ასევე, ისინი დაეუფლებიან წყაროების სწორად გამოყენების ტექნიკას, მათ შორის ციტირების და ბიბლიოგრაფიის შედგენის წესებს, რაც აუცილებელია აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვისთვის და პლაგიატის თავიდან ასაცილებლად.

პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მონაწილეები იმუშავებენ საკუთარი ნაშრომების პრეზენტაციაზე, მოამზადებენ ვიზუალურ მასალებს და მიიღებენ მონაწილეობას იმიტირებულ საჯარო დაცვაში. ეს პროცესი მათ დაეხმარება განივითარონ კომუნიკაციის, არგუმენტაციისა და აუდიტორიასთან მუშაობის უნარები, რაც აუცილებელია როგორც აკადემიურ, ისე პროფესიულ გარემოში.

პროექტის ერთ-ერთ ამოცანას ასევე წარმოადგენს უნივერსიტეტში დამატებითი საჯარო ლექციებისა და სამეცნიერო-საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზება, რათა პროექტში მიღებული ცოდნა მხოლოდ ბანაკის უშუალო მონაწილეებით არ შემოიფარგლოს. საჯარო ლექციების ფარგლებში სტუდენტები და მოწვეული სპიკერები ისაუბრებენ სამეცნიერო ნაშრომის მომზადების ეტაპებზე, კვლევის მეთოდოლოგიაზე, აკადემიური წერის პრინციპებზე, ციტირების სტანდარტებსა და კვლევის შედეგების საჯარო წარდგენის მნიშვნელობაზე. აღნიშნული აქტივობა ხელს შეუწყობს უნივერსიტეტში სამეცნიერო კულტურის პოპულარიზაციას, უფრო ფართო სტუდენტური აუდიტორიის ჩართულობას და კვლევითი საქმიანობისადმი ინტერესის ზრდას.

დ) განხორციელების გზები:

პროექტის განხორციელება დაფუძნებულია მრავალეტაპიან, პრაქტიკაზე ორიენტირებულ სასწავლო მოდელზე, რომელიც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, ერთი მხრივ, ინტენსიურ გარემოში განივითარონ კვლევითი და აკადემიური უნარები, ხოლო, მეორე მხრივ, მიღებული გამოცდილება გააზიარონ საუნივერსიტეტო სივრცეში. სწორედ ამიტომ, პროგრამის ძირითადი ნაწილი განხორციელდება ქალაქ გარეთ (ზემო

აჭარა) 3-დღიანი გასვლითი ფორმატით, რაც ქმნის უფრო მშვიდ, კონცენტრირებულ და პროდუქტიულ გარემოს სწავლისა და სამუშაო პროცესისთვის.

პროექტის პირველ ეტაპზე მონაწილეები ჩაერთვებიან ინტენსიურ ბანაკში, სადაც ეტაპობრივად იმუშავებენ კვლევის თემის შერჩევაზე, საკვლევი კითხვის ჩამოყალიბებაზე, კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრაზე, სამეცნიერო ბაზებში სანდო წყაროების მოძიებასა და აკადემიური წერის სტანდარტების პრაქტიკულ ათვისებაზე. ამავე პერიოდში მათ ექნებათ შესაძლებლობა, მენტორებისგან მიიღონ ინდივიდუალური უკუკავშირი, ჩაერთონ ჯგუფურ განხილვებსა და თანასწორთა შეფასების პროცესში.

პროექტის მეორე ეტაპი გაგრძელდება უკვე უნივერსიტეტში, სადაც მონაწილეები დაასრულებენ საკუთარ ნაშრომებს და მოემზადებიან მათ საჯარო წარდგენისთვის. ამ ეტაპზე, იმიტირებულ სტუდენტურ კონფერენციასთან ერთად, გაიმართება საჯარო ლექციები და სხვა სახის საგანმანათლებლო აქტივობები უნივერსიტეტის სივრცეში. საჯარო ლექციების თემატიკა მოიცავს სამეცნიერო ნაშრომის მომზადების ძირითად პრინციპებს, კვლევის მეთოდოლოგიას, აკადემიური კეთილსინდისიერების მნიშვნელობას, ციტირების წესებს, პრეზენტაციის ტექნიკებსა და სტუდენტური კვლევის პრაქტიკულ მნიშვნელობას.

ამასთანავე, პროექტის ფარგლებში შესაძლებელია დისკუსიების, ღია შეხვედრების, გამოცდილების გაზიარების სესიებისა და მცირე თემატური ვორქშოფების ჩატარებაც, რაც გაზრდის პროექტის ხილვადობას, ჩართულობასა და გავლენას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს იმას, რომ პროექტი არ დარჩეს მხოლოდ ლოკალურ, ერთჯერად აქტივობად, არამედ გადაიქცეს უნივერსიტეტში სამეცნიერო აზროვნებისა და კვლევითი კულტურის ხელშემწყობ ინიციატივად.

2026 წელს განსახორციელებელი პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი
(შესრულების გეგმა)

N	საგანმანათლებლო მიმართულებით პროექტის - „ახალგაზრდა მეცნიერთა ბანაკი“ განხორციელების გეგმა-გრაფიკი			
	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	აპრილი	მაისი	ივნისი
	ეტაპი I	+	+	
1	საინფორმაციო კამპანიის წარმოება, სააპლიკაციო ფორმის შექმნა და მონაწილეთა შერჩევა/გასაუბრება	+	+	
2	ტრენერების/მენტორების შერჩევა და სასწავლო მოდულების/მასალების მომზადება	+	+	
3	ლოგისტიკური საკითხების მოგვარება - სასტუმროს დაჯავშნა	+	+	
	ეტაპი II	+	+	
1	I **დღე:** ვორქშოფები კვლევის მეთოდოლოგიასა და საერთაშორისო ბაზებში წყაროების მოძიებაზე		+	
2	II **დღე:** პრაქტიკული მუშაობა აკადემიურ წერასა და ბსუ-ს ციტირების წესების გაცნობაზე		+	
1	III **დღე:** შემაჯამებელი იმიტირებული სტუდენტური კონფერენცია და ნაშრომების წარდგენა; მონაწილეთა დაჯილდოება და სერტიფიკატების გადაცემა		+	+
	ეტაპი III			
1	საჯარო ლექცია – „როგორ მზადდება ხარისხიანი სამეცნიერო ნაშრომი“		+	
2	საჯარო ლექცია – „აკადემიური წერა, ციტირება და კვლევის ეთიკა“		+	
	ეტაპი IV			
1	პროექტის შესრულების შინაარსობრივი და ფინანსური ანგარიშის მომზადება			+
2	პროექტის დახურვა			+

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:

პროექტის ძირითადი ბენეფიციარები არიან ბსუ-ს აქტიური სტუდენტები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით და სურთ საკუთარი აკადემიური უნარების განვითარება. განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება იმ სტუდენტებზე, რომლებიც უკვე მუშაობენ ან გეგმავენ მუშაობას საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომებზე და საჭიროებენ დამატებით მხარდაჭერას კვლევის მეთოდოლოგიის, აკადემიური წერისა და პრეზენტაციის უნარების მიმართულებით.

მონაწილეთა შერჩევა განხორციელდება ღია კონკურსის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მოტივირებული და მაღალი აკადემიური პოტენციალის მქონე ახალგაზრდების ჩართულობას. შერჩევის პროცესში გათვალისწინებული იქნება სტუდენტების აკადემიური მოსწრება, მათი კვლევითი ინტერესები და წარმოდგენილი თეზისის ხარისხი, რაც საშუალებას მოგვცემს შევარჩიოთ ისეთი მონაწილეები, რომლებიც შეძლებენ პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნის ეფექტიანად გამოყენებას.

პრიორიტეტი მიენიჭებათ დამამთავრებელი კურსის სტუდენტებსა და მაგისტრანტებს, ვინაიდან მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევითი უნარების გაღრმავება და აკადემიური სტანდარტების სრულყოფილად დაუფლება. ამავდროულად, პროექტი ღია იქნება სხვა კურსის სტუდენტებისთვისაც, რაც ხელს შეუწყობს ადრეული ეტაპიდანვე კვლევითი კულტურის ჩამოყალიბებას.

პროექტის ფარგლებში მონაწილე სტუდენტები არა მხოლოდ მიიღებენ თეორიულ ცოდნას, არამედ პრაქტიკულად განივითარებენ იმ უნარებს, რომლებიც აუცილებელია თანამედროვე აკადემიურ გარემოში წარმატებისთვის. შედეგად, ისინი შეძლებენ უფრო თავდაჯერებულად ჩაერთონ სამეცნიერო კონფერენციებში, მოამზადონ ხარისხიანი ნაშრომები და გააძლიერონ საკუთარი პროფესიული პერსპექტივები.

მოსალოდნელი შედეგები:

პროექტის წარმატებით განხორციელების შედეგად მოსალოდნელია სტუდენტების აკადემიური და კვლევითი უნარების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რაც პირდაპირ აისახება მათ მიერ შექმნილი ნაშრომების ხარისხზე. მონაწილეები შეძლებენ დამოუკიდებლად დაგეგმონ კვლევა, სწორად შეარჩიონ მეთოდები და აკადემიური სტანდარტების დაცვით ჩამოაყალიბონ საკუთარი იდეები, რაც მათ კვლევით საქმიანობას უფრო სტრუქტურირებულსა და შედეგზე ორიენტირებულს გახდის.

პროექტის ფარგლებში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება სტუდენტებს დაეხმარება სანდო სამეცნიერო წყაროებთან ეფექტურად მუშაობაში, ინფორმაციის კრიტიკულ გაანალიზებაში და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვაში. შედეგად, შემცირდება პლაგიატის რისკი და გაიზრდება ნაშრომების აკადემიური ღირებულება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შედეგი იქნება სტუდენტთა კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარების განვითარება. მონაწილეები შეძლებენ საკუთარი ნაშრომების უფრო თავდაჯერებულად და არგუმენტირებულად წარმოდგენას, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას აქტიურად ჩაერთონ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებში და წარმატებით წარადგინონ საკუთარი კვლევები.

პროექტის საბოლოო შედეგი იქნება არა მხოლოდ ინდივიდუალური სტუდენტების განვითარების ხელშეწყობა, არამედ უნივერსიტეტის აკადემიური გარემოს გაძლიერება. გაიზრდება ხარისხიანი სტუდენტური ნაშრომების რაოდენობა, რაც დადებითად აისახება უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტივობაზე და სტუდენტთა ჩართულობაზე კვლევით პროცესებში.

მთლიანობაში, პროექტი ხელს შეუწყობს ისეთი სტუდენტების ჩამოყალიბებას, რომლებიც დამოუკიდებლად, პასუხისმგებლობითა და მაღალი აკადემიური სტანდარტების დაცვით შეძლებენ კვლევითი საქმიანობის განხორციელებას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე.

პროექტის დამატებითი მნიშვნელოვანი შედეგი იქნება უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური კულტურის გაძლიერება საჯარო ლექციებისა და სხვა საგანმანათლებლო აქტივობების მეშვეობით. აღნიშნული ფორმატი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ უშუალო მონაწილეთა, არამედ უფრო ფართო სტუდენტური აუდიტორიის ინფორმირებასა და ჩართულობას. შედეგად, გაიზრდება სტუდენტთა ინტერესი სამეცნიერო კვლევის, აკადემიური წერისა და კონფერენციებში მონაწილეობის მიმართ, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში დადებით გავლენას მოახდენს უნივერსიტეტის აკადემიურ გარემოსა და სამეცნიერო აქტივობაზე.

მონიტორინგი:

პროექტს მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი.

შეფასება:

პროექტის წარმატებას განსაზღვრავს ბენეფიციართა მიერ მიღწეული პროგრესი საწყისი ეტაპიდან ფინალურ ფაზამდე, რაც გამოიხატება შექმნილი ნაშრომების აკადემიური ვალიდურობითა და სტუდენტთა თვითეფექტურობის გაზრდილი მაჩვენებლით. პროექტი ჩაითვლება წარმატებულად, თუ იგი უზრუნველყოფს სტუდენტთა ინტელექტუალურ მზაობას დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობისთვის და გააუმჯობესებს მათ აკადემიურ პორტფოლიოს. პროექტის დასრულების შემდგომ სტუდენტები დამოუკიდებლად შეძლებენ აკადემიური სტანდარტების გათვალისწინებასა და სრულყოფილი სამეცნიერო ნაშრომების შექმნას.

აღნიშნული შედეგების გასაზომად განისაზღვრება პროექტის წარმატების შემდეგი კონკრეტული კრიტერიუმები:

- რაოდენობრივი მაჩვენებელი: პროექტის ფარგლებში გადამზადდება 20 სტუდენტი, რომლებიც სრულად გაივლიან ტრენინგ-კურსს და მონაწილეობას მიიღებენ შემაჯამებელ იმიტირებულ კონფერენციაში, რაც პირდაპირ შეუწყობს ხელს განსაკუთრებული კვლევითი უნარების მქონე ახალგაზრდების წარმოჩენას, აგრეთვე საჯარო ლექციების სახით სხვა ნებისმიერ დაინტერესებულ სტუდენტს შეეძლება გაიგოს ზუსტი და მკაფიო ინფორმაცია ნაშრომის მომზადების შესახებ.
- თვისობრივი/ხარისხობრივი მაჩვენებელი: მონაწილეთა მიერ მომზადებული თითოეული ნაშრომი სრულად დააკმაყოფილებს გსუ-ს ციტირებისა და ბიბლიოგრაფიის შედგენის სტანდარტებს და დაადასტურებს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების პრაქტიკულ ათვისებას.

2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის - „ახალგაზრდა მეცნიერთა ბანაკი“ ბიუჯეტი

„ახალგაზრდა მეცნიერთა ბანაკი“ მიზნად ისახავს ბსუ-ს სტუდენტებში აკადემიური წერისა და კვლევითი უნარების განვითარებას. პროექტი მოიცავს 2-დღიან ინტენსიურ გასვლით სამუშაო შეხვედრებს, პრაქტიკულ ვორქშოფებს, იმიტირებულ სტუდენტურ კონფერენციას, ასევე უნივერსიტეტში საჯარო ლექციებისა და სხვა სამეცნიერო-საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებას. პროექტის ფარგლებში მონაწილეები პრაქტიკულად აითვისებენ სამეცნიერო ბაზებთან მუშაობას, კვლევის მეთოდოლოგიას, ციტირების სტანდარტებს, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებსა და ნაშრომის საჯარო წარდგენის უნარებს. პროექტის შედეგად მომზადდება მოტივირებული ახალგაზრდა მკვლევრები, რომლებიც შეძლებენ აკადემიური სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომების შექმნასა და მათ ეფექტიან პრეზენტაციას.

N	განსახორციელებელი აქტივობის/ ღონისძიების/ ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად		
						აპრილი	მაისი	ივნისი
1	ტრანსპორტირება	1 მიკროავტობუსის დაქირავება (ბათუმი - ზემო აჭარა - ბათუმი). მგზავრთა რაოდენობა: 20.	700	უზრუნველყოფილია პროექტის მონაწილეთა და ტრენერთა უსაფრთხო და ორგანიზებული გადაადგილება.	20 მონაწილე და ტრენერი უზრუნველყოფილია ტრანსპორტირებით		+	+
2	სასტუმრო მომსახურება და კვება	20 პერსონის განთავსება სასტუმროში 3 დღითა და 2 ღამით. მოიცავს: განთავსებას, 3-ჯერად კვებას, საკონფერენციო სივრცის იჯარასა და ყავის შესვენებებს.	4800	სტუდენტებმა შეიძინეს აკადემიური წერისა და კვლევითი უნარები ინტენსიურ პრაქტიკულ გარემოში	მონაწილეთა მინიმუმ 80% დადებითად აფასებს პროექტს შეფასების ფორმის მიხედვით		+	+
3	ტრენერის ჰონორარი	2 დღის განმავლობაში ტრენერის მომსახურება	500	სტუდენტებმა შეიძინეს აკადემიური წერისა და კვლევითი უნარები ინტენსიურ პრაქტიკულ გარემოში	მოსწავლეები იყვნენ მოტივირებული		+	+
4	საკანცელარიო და სამუშაო მასალები	ბლოკნოტები (20 ც.), კალმები (30 ც.), ბეიჯები (20 ც.), ფლიპჩარტის ქაღალდები (2 შეკვრა), ფერადი მარკერები და სტიკერები გუნდური მუშაობისთვის. მონაწილეთა სერტიფიკატების ბეჭდვა (20 ცალი) და პროექტის 1 საინფორმაციო ბანერის დამზადება.	300	მონაწილეები აღჭურვილნი არიან საგანმანათლებლო პროცესისა და დამოუკიდებელი მუშაობისთვის საჭირო ინვენტარით. ბენეფიციართა აკადემიური პორტფოლიოსთვის დამადასტურებელი დოკუმენტის გადაცემა და პროექტის ცნობადობა.	20 მონაწილე უზრუნველყოფილია სამუშაო მასალებით და გაცემულია მინიმუმ 20 სერტიფიკატი		+	+

„2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 08 აპრილის №01-18/128 ბრძანების

№5 დანართი

2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი - **დებატ ტრენინგ-ტურნირი „პეითო“**

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

განმცხადებელი	პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	მათე ბილიხოძე (პ/ნ - [redacted])	
	სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში)	დებატკლუბი - ბსუ	
	განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი		
	საკონტაქტო მობილურის ნომერი		
	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა		
პროექტის შესახებ	**პროექტის დასახელება** (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად)	დებატ ტრენინგ-ტურნირი „პეითო“	
	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები	დაწყების თარიღი	დასრულების თარიღი
		1/05/26	**07/06/26**
		(რიცხვი/თვე/წელი)	(რიცხვი/თვე/წელი)
	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	2500ლ.	
	თანადაფინანსება		
	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა		
	ხელმოწერა (პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)		
	თარიღი	**05/04/26**	
		რიცხვი/თვე/წელი	

პროექტის აღწერა:

ა) **პრობლემის განსაზღვრა**:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა არაფორმალური განათლების მიმართულებით აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს კრიტიკული აზროვნების, არგუმენტაციისა და საჯარო გამოსვლის უნარების განვითარებას, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირებულია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია დებატების მიმართულების პასიურობა, რაც იწვევს:

- სტუდენტთა დაბალ ჩართულობას დისკუსიურ სივრცეში;
- ჯანსაღი კამათის კულტურის სისუსტეს;
- არგუმენტირებული მსჯელობისა და ანალიტიკური აზროვნების არასაკმარის განვითარებას.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტში არსებობდა დებატ კლუბის გამოცდილება, დღეს აღნიშნული სივრცე არ არის აქტიურად ფუნქციონირებადი, რაც კიდევ უფრო ამწვავებს პრობლემას.

პრაქტიკა აჩვენებს, რომ სტუდენტებს აქვთ ინიციატივა, თუმცა არ არსებობს ერთიანი პლატფორმა, სადაც ისინი შეძლებენ უნარების განვითარებას, თანამშრომლობას და იდეების გაცვლას. შესაბამისად, აუცილებელია ისეთი პროექტის განხორციელება, რომელიც არა მხოლოდ ერთჯერადი აქტივობის სახით ჩატარდება, არამედ შექმნის მდგრად საფუძველს დებატების კულტურის აღდგენისა და დებატ კლუბის ხელახალი გააქტიურებისთვის.

ბ) **მიზანი:**

პროექტის მიზანია უნივერსიტეტში დებატების კულტურის აღდგენა, განვითარება და ინსტიტუციური გაძლიერება, სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების, არგუმენტაციისა და საჯარო გამოსვლის უნარების განვითარების გზით. ასევე, პროექტი ისახავს მიზნად დებატ

კლუბის გაცოცხლებას და მის ჩამოყალიბებას, როგორც მუდმივად მოქმედ საგანმანათლებლო სივრცეს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა რეგულარულ ჩართულობას და თვითგანვითარებას.

გ) ამოცანები:

პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი ამოცანები:

- დებატების თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების ორგანიზება;
- მონაწილეთა შერჩევა და მათი ეტაპობრივი გადამზადება;
- დებატების შიდა საუნივერსიტეტო ტურნირის ჩატარება;
- მონაწილეთა შეფასება და გამარჯვებულთა გამოვლენა;
- სტუდენტებში დებატების მიმართ ინტერესის გაზრდა;
- დებატ კლუბის ხელახალი ჩამოყალიბება/გაცოცხლება;
- კლუბის სამომავლო აქტივობების (კვირეული შეხვედრები, მინი-ტურნირები, საჯარო დისკუსიები) დაგეგმვა და დანერგვა.

დ) განხორციელების გზები:

პროექტის განხორციელება დაიყოფა რამდენიმე ეტაპად:

1. ორგანიზაციული ეტაპი
   - შეიქმნება საორგანიზაციო გუნდი
   - განისაზღვრება ტრენერები და ჟიური
   - განხორციელდება საინფორმაციო კამპანია (სოციალური ქსელები, სტუდენტური პორტალი)
2. მონაწილეთა შერჩევა
   - გამოცხადდება ონლაინ რეგისტრაცია
   - შეირჩევა მოტივირებული სტუდენტები სხვადასხვა ფაკულტეტიდან
3. ტრენინგების ეტაპი

ჩატარდება ინტენსიური ტრენინგები, რომელიც მოიცავს:

- დებატების ფორმატებს

- არგუმენტაციის ტექნიკებს
- საჯარო გამოსვლის უნარებს
- კრიტიკული აზროვნების განვითარებას

4. ტურნირის ეტაპი
    - მონაწილეები გადანაწილდებიან გუნდებად
    - გაიმართება დებატ ტურნირი წინასწარ განსაზღვრული თემებით
    - შეფასება მოხდება პროფესიონალი ჟიურისა და ასევე სტუდენტების მიერ
5. შეფასება და დაჯილდოება
    - გამოვლინდებიან გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციაში
    - მონაწილეები მიიღებენ სერტიფიკატებს
6. დებატ კლუბის გაცოცხლება

პროექტის დასრულების შემდეგ:

- შეიქმნება დებატ კლუბის მუდმივი პლატფორმა
- დაიგეგმება რეგულარული შეხვედრები
- ჩატარდება პერიოდული დებატ ტურნირები
- შეიქმნება სტუდენტთა აქტიური ბირთვი

2026 წელს განსახორციელებელი საგანმანათლებლო მიმართულების სტუდენტური პროექტის - **დებატ ტრენინგ-ტურნირი „პეითო“**

განხორციელების გეგმა-გრაფიკი

N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე			
	ეტაპი I - ორგანიზება და რეგისტრაცია						
1	ონლაინ რეგისტრაციის ჩაშვება	√					
2	საინფორმაციო კამპანიის წარმოება	√					
3	მონაწილეთა გადარჩევა	√					
	ეტაპი II - მონაწილეთა შერჩევა და მომზადება						
1	24 სტუდენტის შერჩევა		√				
2	გუნდებად გადანაწილება		√				
3	ტრენინგებისთვის მოსამზადებელი ეტაპი		√				
	ეტაპი III - ტრენინგები და შიდა შეჯიბრები						
1	თეორიული და პრაქტიკული ტრენინგების ჩატარება		√	√			
2	შიდა შესარჩევი დებატები			√			
3	ნახევარფინალური ეტაპი			√			
	ეტაპი IV - ფინალი და მდგრადობა						
1	ფინალური ტურნირი			√			
2	გამარჯვებულთა დაჯილდოება			√			
3	დებატ კლუბის ჩამოყალიბება და პირველი შეხვედრა			√			
4	კლუბის რეგულარული შეხვედრები			√			

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები: პროექტის ბენეფიციარები იქნებიან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები.

მოსალოდნელი შედეგები:

რაოდენობრივი შედეგები:

- მინიმუმ 30-35 მონაწილე სტუდენტი
- ჩატარებული 4-5 ტრენინგ სესია
- ორგანიზებული 1 სრულფასოვანი დებატ ტურნირი
- შექმნილი მინიმუმ 10-12 დებატ გუნდი
- დაჯილდოებული გამარჯვებულები 3-4 ნომინაციაში

თვისობრივი შედეგები:

- სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარების გაუმჯობესება
- არგუმენტაციისა და საჯარო გამოსვლის უნარების გაძლიერება
- გუნდური მუშაობისა და კომუნიკაციის ხარისხის ზრდა
- დებატების კულტურის აღდგენა უნივერსიტეტში
- დებატ კლუბის ჩამოყალიბება და მისი მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველყოფა

პროექტი დადებით გავლენას მოახდენს საუნივერსიტეტო გარემოზე, გაზრდის სტუდენტთა ჩართულობას და შექმნის აქტიურ აკადემიურ სივრცეს.

მონიტორინგი: პროეტს მონიტორინგს გაუწევს სტუდენტთა კარიერული განვითარების კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი

შეფასება: პროექტის შეფასება განხორციელდება როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი მაჩვენებლების საფუძველზე. შეფასების ძირითადი ინსტრუმენტები: Pre-test / Post-test (ონლაინ ფორმატში): მონაწილეთა ცოდნისა და უნარების ზრდის გასაზომად; ონლაინ უკუკავშირი (Google Forms): მონაწილეები შეავსებენ შეფასების ფორმას, სადაც დააფიქსირებენ: ტრენინგის ხარისხს; ტრენერების ეფექტურობას; მიღებული ცოდნის პრაქტიკულ მნიშვნელობას; საერთო კმაყოფილების დონეს; დებატ ტურნირის შედეგები: მონაწილეთა პრაქტიკული უნარების შეფასება რეალურ გარემოში; ასევე უკუკავშირი, სტუდენტების მიერ სხვაზე გაწეული რეკომენდაციები და ა.შ.

2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის - დებატ ტრენინგ-ტურნირი „პეითო“ ბიუჯეტი

პროექტის მოკლე აღწერა - ინიციატივის მთავარი მიზანია ახალგაზრდებში დებატების კულტურის პოპულარიზაცია და ორატორული, კრიტიკული თუ ანალიტიკური უნარების განვითარება. პროექტის ფარგლებში სტუდენტები გაივლიან სპეციალურ ტრენინგებს, სადაც დეტალურად შეისწავლიან არგუმენტირებული მსჯელობისა და საჯარო გამოსვლის ტექნიკებს.

N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების /ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამ თვეების შესაბამისად				
						აპრილი	მაისი	ივნისი		
1	საპრიზო თანხები	სამ საპრიზო ადგილზე და დამატებითი საპრიზო ადგილისათვის განკუთვნილი პრიზები (წიგნები/ან სხვა ფასიანი საჩუქრები/ვაუჩერი)	800	პრიზები პროექტის მონაწილეებში გააღვივებს მოტივაციასა და მიზნისკენ სწრაფვას.	დაჯილდოებულებს ექნებათ განცდა, რომ მათი შრომა და ნიჭიერება მართლაც ფასდება. მოტივაცია გაიზრდება და სამომავლოდ ინტერესს გაზრდის სხვა აქტივობებისათვის.		√	√		
2	ლანჩი	სასმელები და სხვადასხვა ტიპის საკვები	1000	დებატები საჭიროებს დიდი რაოდენობით როგორც ფსიქოლოგიური, ისე ფიზიკური ენერგიის დახარჯვას. მეტი ეფექტურობისა და დაღლის კომპენსაციისთვის მნიშვნელოვანია მონაწილეთა ლანჩით უზრუნველყოფა	ინდიკატორი იქნება ის უკუკავშირი რასაც მოგვაწვდიან ონლაინ გამოკითხვისას.დღის ბოლოს, მონაწილეები კმაყოფილი იქნებიან ლანჩით, რომელიც პროექტმა მათთვის უზრუნველყო.		√	√		
3	საკანცელარიო ნივთები	ბრენდირებული ინვენტარი (ჩანთები, ბლოკნოტები,კალმები) და სერთიფიკატები	300	ბრენდის ცნობადობის გაზრდა, ასოციაციის შექმნა და პიარი	ბრენდირებული ინვენტარი პროექტის მონაწილეებს საერთო გარემოში თანამონაწილეობის, მიკუთვნებისა და ასოცირებულობის შეგრძნებას გააღრმავებს. ამასთან, იგი აღნიშნულ პროექტს სხვა მსგავსი თემატიკის პროექტებისგან გამოარჩევს.		√	√		
4	ავტორის შრომის ანაზღაურება	გუნდის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურება	400	პროექტის პროცესი წარიმართება ორგანიზებულად,	სტუდენტი იქნება მოტივირებული			√		

„2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტების დაფინანსების შესახებ“

ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 08 აპრილის №01-18/128 ბრძანების

№6 დანართი

2026 წელს განსახორციელებელი ბსუ-ს სტუდენტური პროექტი - **„აჭარის ჰერპეტოფაუნის კვლევა“ „Research of the herpetofauna of Adjara”**

(საგანმანათლებლო მიმართულებით)

განმცხადებელი	**პროექტის ხელმძღვანელის/განმცხადებლის სახელი, გვარი, პირადი ნომერი**	ალექსანდრე ხახვა (პ/ნ -	
	სტუდენტთა ჯგუფის/გაერთიანების სახელი (ჯგუფის მიერ წარმოდგენელი პროექტის შემთხვევაში)		
	განმცხადებლის ფაქტობრივი მისამართი		
	საკონტაქტო მობილურის ნომერი		
	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა		
პროექტის შესახებ	**პროექტის დასახელება** (უცხოენოვანი პროგრამის სტუდენტებისთვის ინგლისურად)	„აჭარის ჰერპეტოფაუნის კვლევა“ „Research of the herpetofauna of Adjara”	
	პროექტის დაწყებისა და დასრულების თარიღები	**დაწყების თარიღი**	**დასრულების თარიღი**
		-20-/---04---/---2026---	**-20-/----06----/---2026---**
		(რიცხვი/თვე/წელი)	**(რიცხვი/თვე/წელი)**
	პროექტის მთლიანი ბიუჯეტი	4 035 ლარი	
	თანადაფინანსება		
	ბსუ-დან მოთხოვნილი თანხა	4 035 ლარი	
	ხელმოწერა **(პროექტზე პასუხისმგებელი პირი/განმცხადებელი/ხელმძღვანელი)**		
	თარიღი	**-05-/----04----/---2026---**	
		რიცხვი/თვე/წელი	

პროექტის აღწერა:

ა) პრობლემის განსაზღვრა:

ჰერპეტოლოგია ზოოლოგიის ერთ-ერთი დარგია, რომელიც სწავლობს ქვეწარმავლებსა და ამფიბიებს, მათ დანიშნულებას ეკოსისტემებში, მორფოლოგიურ თავისებურებებს, ცხოვრების ნირს. სამწუხაროდ საქართველოს და განსაკუთრებით აჭარის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ამ დარგის შესახებ ბევრი არაფერი იცის. მწირია ინფორმაცია აჭარის უნიკალური, უიშვიათესი, რელიქტური ჰერპეტოფაუნის წარმომადგენლებზე, რაც განაპირობებს უსაფუძვლო შიშს, არასწორ წარმოდგენებს ამ არსებებზე. ეს საგანმანათლებლო პროექტი კი ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებში.

ბ) მიზანი:

ჰერპეტოლოგიასა და ჰერპეტოფაუნაზე საქართველოში ცნობიერება დაბალია. ამ საგანმანათლებლო პროექტის დახმარებით კი ახალგაზრდები უამრავ მნიშვნელოვან ინფორმაციას მიიღებენ თუ როგორ უნდა განასხვაონ ერთმანეთისგან შხამიანი და უშხამო სახეობა, როგორ შეძლონ საცხოვრებელი ტერიტორიის დაცვა ქვეწარმავლებისგან, რა უნდა მოიმოქმედონ შხამიანი გველის კბენის შემდეგ.

გ) ამოცანები:

1) ლიტერატურული წყაროების მოძიება;

2) საველე აღჭურვილობის შეძენა და საინფორმაციო ცნობარების, პოსტერების, შემეცნებითი მასალის ბეჭდვა, დამზადება;

3) უნივერსიტეტში დარგის ექსპერტების ეკოლექცია ჰიბრიდულად (Zoom-ის მეშვეობით);

4) აჭარის 6 სკოლაში ვიზიტის დაგეგმვა; ბიომრავალფეროვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება;

5) ვორქშოფის ორგანიზება, ფოკუს ჯგუფების შერჩევა საველე პრაქტიკისთვის (15 სტუდენტი და 20 მოსწავლე - მე-9; მე-10; მე-11 კლასი

6) საველე ექსპედიციების მოწყობა აჭარის დაცულ ტერიტორიებზე;

7) დასკვნითი, შემაჯამებელი ღონისძიება უნივერსიტეტში.

დ) განხორციელების გზები:

ამ საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში აჭარის 6 სკოლაში (მე-10 საჯარო სკოლა; მე-16 საჯარო სკოლა; ევრო 2000; სკოლა „გორდა“; სკოლა „თაობა“; სოფ. აგარა I-ის საჯარო სჯოლა) და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში გავმართავთ ინფორმაციულ შეხვედრას ბიომრავალფეროვნების, კერძოდ ჰერპეტოფაუნის მიმართულებით. უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ეკოლექციას და საველე ექსპედიციისთვის განკუთვნილი ინვენტარის მოხმარების, ველზე მოქცევის შესახებ ინსტრუქტაჟს ჰიბრიდულად (Zoom-ის მეშვეობით) ჩაატარებს დარგის 3 ექსპერტი. სკოლის მოსწავლეებთან წარსადგენ პრეზენტაციაში (PowerPoint), რომელსაც ბსუ-ს ეკოლოგიის I კურსის სტუდენტი წარადგენს, დეტალურად იქნება განხილული შემდეგი საკითხები: 1) როგორ დავიცვათ საცხოვრებელი ტერიტორია ქვეწარმავლებისგან; 2) პირველადი დახმარება შხამიანი გველის ნაკბენისას; 3) რა არ უნდა მოვიმოქმედოთ შხამიანი გველის კბენის შემდეგ; 4) როგორ ამოვიცნოთ გველის ნაკბენი; 5) რა მოხდება თუ გველებს მასიურად გავანადგურებთ; 6) აჭარაში გავრცელებული გველების სახეობები (7 სახეობა); 7) გარეგნული მახასიათებლები; 8) გავრცელებული მითები; 9) აპლიკაცია „Herpi”-ის გამოყენება; 10) ველზე მოქცევის ინსტრუქცია. პრეზენტაციის შემდეგ სკოლის მოსწავლეები შეასრულებენ შემეცნებით აქტივობებს (მაგ. კაჰუტი), რაც ხელს შეუწყობს მიღებული ცოდნის განმტკიცებას. თითოეულ სკოლას გადაეცემა პოსტერი, სადაც ნაჩვენები იქნება საქართველოში გავრცელებული ყველა სახეობის უშხამო და შხამიანი გველი. მოსწავლეებს დაურიგდებათ საინფორმაციო ცნობარები. საველე პრაქტიკისთვის შეირჩევა დაინტერესებული (სურვილის მქონე) 15 საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტი. სკოლის 20 მოსწავლის (მე-9; მე-10; მე-11 კლასი) შესარჩევად კი ჩავატარებთ კონკურსს, ისინი წარმოგვიდგენენ მათ მიერ გადაღებულ ფოტომასალებს გარემოზე/ ეკოლოგიურ მდგომარეობზე/ ბიომრავალფეროვნებაზე (AI-ის გარეშე), რისთვისაც ექნებათ 1 კვირა. აჭარის 2 დაცულ ტერიტორიაზე (მტირალას ეროვნული პარკი; კინტრიშის დაცული ტერიტორია) მოეწყობა თითო-თითო დღიანი საველე ექსპედიცია, დარგის სპეციალისტებთან ერთად. პროექტის მონაწილეების გადაადგილება აჭარის დაცულ ტერიტორიებამდე მოხდება 2 მიკროავტობუსით. ლოკაციები ფეხით უნდა დაილაშქროს, ამიტომ ჯგუფი უზრუნველყოფილი იქნება საკვებითა და სასმელი წყლით. ჯგუფის უსაფრთხოების მიზნით უზრუნველყოფილი იქნება პირველადი დახმარება (პირველადი დახმარების სერტიფიცირებული პირი). ექსპედიციის წევრებს შესაძლებლობა ექნაბათ დააკვირდნენ ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას, იპოვონ სხვადასხვა სახეობა, აღბეჭდონ ფოტოებზე და შეავსონ საველე ბლანკი (პოვნის თარიღი, ლოკაცია, სახეობა, რაოდენობა, საბინადრო ჰაბიტატი...). ექსპედიციის დაწყებამდე დაურიგდებათ საველე აღჭურვილობა (ქვეწარმავლებისთვის განკუთვნილი ხელთათმანები, დამჭერი კავები, დურბინდი, ერთი ფოტოაპარატი). შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართება უნივერსიტეტში, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ პროექტში ჩართული სტუდენტები და მოსწავლეები. პროექტის თითოეულ წევრს გადაეცემა სერთიფიკატი და თემატურად დასურათებული (დაპრინტული) წიგნაკები, კალმები, ხელჩანთები, სტიკერები, საინფორმაციო ცნობარები, წიგნები.

2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის განხორციელების გეგმა-გრაფიკი
(შესრულების გეგმა)

	საგანმანათლებლო მიმართულებით პროექტის - „აჭარის ჰერპეტოფაუნის კვლევა“ განხორციელების გეგმა-გრაფიკი						
N	პროექტის განხორციელების ეტაპები და შესაბამისი აქტივობები	1 თვე	2 თვე	3 თვე			
	ეტაპი I						
1	ლიტერატურული წყაროების მოძიება.	+	+				
2	საველე აღჭურვილობის შეძენა და საინფორმაციო, შემეცნებითი მასალის ბეჭდვა, დამზადება.		+				
3	დარგის ექსპერტების ჰიბრიდული ეკოლექცია უნივერსიტეტში (Zoom).	+	+				
	ეტაპი II						
1	ვიზიტი აჭარის სკოლებში.		+				
2	ფოკუს ჯგუფების შერჩევა კონკურსის საფუძველზე.		+				
3	საველე ექსპედიციები.			+			
	ეტაპი III						
1	დასკვნითი, შემაჯამებელი ღონისძიება უნივერსიტეტში.			+			

მიზნობრივი ჯგუფები/ბენეფიციარები:

პროექტი გათვლილია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა დაინტერესებულ სტუდენტსა და სკოლის მოსწავლეებზე (მე-9; მე-10; მე-11 კლასი).

მოსალოდნელი შედეგები:

რაოდენობრივი მაჩვენებელი:

- ამ პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტში ჰიბრიდულად (Zoom-ის მეშვეობით) ჩაატარებს ეკოლექციას დარგის 3 ექსპერტი.
- ვიზიტი აჭარის 6 სკოლაში.
- საველე პრაქტიკისთვის შეირჩევა 15 სტუდენტი და 20 სკოლის მოსწავლე (მე-9; მე-10; მე-11 კლასი).
- მოსწავლეების შესარჩევად განკუთვნილია 1 კვირა (ფოტომასალების შეგროვება).
- განხორციელებული სასწავლო ექსპედიცია (2).

თვისობრივი მაჩვენებელი:

- სტუდენტთა ეკოლოგიური და ბიოლოგიური ცოდნის გაუმჯობესებ
- ჰერპეტოლოგიური კვლევის საბაზისო მეთოდების და საველ ექსპედიციის უნარების ათვისება.
- გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება.
- ქვეწარმავლებისა და ამფიბიების მიმართ ნეგატიურ სტერეოტიპების შემცირება.
- ბუნებრივი გარემოსადმი პასუხისმგებლობის ჩამოყალიბება.
- გუნდური მუშაობის განვითარება.
- მიღებული ცოდნის გაზიარება თანატოლებისთვის.

მონიტორინგი:

პროექტის საწყის ეტაპზე შეიქმნება დეტალური სამუშაო გეგმა და კალენდარი, რომლის მიხედვითაც მოხდება აქტივობების შესრულების კონტროლი. თითოეულ სკოლაში ჩატარებული ინფორმაციული შეხვედრის შემდეგ შეგროვდება უკუკავშირი მოსწავლეებისგან (მოკლე კითხვარის ან ზეპირი შეფასების ფორმით), რაც საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ მიღებული ცოდნის დონე და პრეზენტაციის ეფექტურობა. უნივერსიტეტში ჩატარებული ეკოლექციისა და ინსტრუქტაჟის პროცესში განხორციელდება მონაწილეთა ჩართულობის დაკვირვება და შეფასება. საველე ექსპედიციების დროს მონიტორინგს განახორციელებენ პროექტის ორგანიზატორები, რომლებიც დააკვირდებიან მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების დაცვას, საველე უნარების გამოყენებას და მონაცემების შეფროვებას. ექსპედიციების დასრულების შემდეგ მოხდება შევსებული საველე ბლანკების ანალიზი, რაც გამოავლენს მონაწილეთა პრაქტიკული უნარების დონეს. პროექტის მსვლელობისას რეგულარულად გაიმართება სამუშაო შეხვედრები ორგანიზატორებს შორის, სადაც შეფასდება მიმდინარე პროგრესი და საჭიროების შემთხვევაში განხორციელდება კორექტირება. საბოლოო ეტაპზე ჩატარდება შემაჯამებელი შეფასება, რომელიც მოიცავს მონაწილეთა მიღწევების, პროექტის მიზნების შესრულების ანალიზს.

შეფასება:

- აქტიური ჩართულობა.
- ცნობიერების ამაღლება ჰერპეტოლოგიასა და აჭარის ჰერპეტოფაუნის შესახებ.
- სწორი წარმოდგენა ქვეწარმავლებზე, მათ ნიშზე ეკოსისტემებში, რაც შეამცირებს მითებსა თუ სტერეიტიპებს.
- გუნდური და საველე პრაქტიკის გაუმჯობესება.

2026 წელს განსახორციელებელი სტუდენტური პროექტის - „აჭარის ჰერპეტოფაუნის კვლევა“/ “Research of the herpetofauna of Adjara” ბიუჯეტი

პროექტის მოკლე აღწერა - პროექტი მიზნად ისახავს აჭარაში ბიომრავალფეროვნების, კერძოდ ჰერპეტოფაუნის შესახებ ცნობიერების ამაღლებას. ჩატარდება ინფორმაციული შეხვედრები აჭარის 7 სკოლასა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის დარგის ექსპერტები ჰიბრიდულად (Zoom-ის მეშვეობით) ჩაატარებენ ეკოლექციას და ინსტრუქტაჟს საველე ექსპედიციებისთვის საჭირო ინვენტარის გამოყენებისა და უსაფრთხო ქცევის შესახებ. მოსწავლეები და სტუდენტები მიიღებენ დეტალურ ინფორმაციას ჰერპეტოფაუნაზე. სკოლის მოსწავლეებისთვის წარმოდგენილი პრეზენტაციის შემდეგ გაიმართება აქტივობები მიღებული ცოდნის გასამყარებლად, ხოლო თითოეულ სკოლას გადაეცემა საგანმანათლებლო პოსტერი და საინფორმაციო ცნობარები. პროექტის მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება საველე ექსპედიციები აჭარის 2 დაცულ ტერიტორიაზე, სადაც შერჩეული სტუდენტები და მოსწავლეები სპეციალისტების ხელმძღვანელობით დააკვირდებიან ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას, შეაგროვებენ მონაცემებს. პროექტი დასრულდება შემაჯამებელი ღონისძიებით. პროექტის მონაწილეები წარადგენენ პრეზენტაციებს შეძენილი ცოდნის მიხედვით და მიიღებენ სერტიფიკატებსა თუ თემატურ საჩუქრებს.

N	განსახორციელებელი აქტივობის/ღონისძიების/ხარჯის დასახელება	გასაწევი ხარჯის დეტალური გაანგარიშება	თანხა	მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საბოლოო შედეგის ინდიკატორ(ებ)ი	ხარჯის გაწევის პერიოდი წლის შესაბამისი თვეების შესაბამისად						
						აპრილი	მაისი	ივნისი				
1	მოსწავლეებისთვის საინფორმაციო ცნობარები და 7 ცალი პოსტერი.	საინფირმაციო ბუკლეტი - 200 ლარი (100 ცალი), (თითო 2 ლარი); პოსტერი - 35 ლარი (7 ცალი), (თითო 5 ლარი).	235	საინფორმაციო ცნობარში და პოსტერზე დატანილი იქნება საინტერესო და მნიშვნელოვანი ინფორმაციები ილუსტრაციებით, რაც ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას.	ცნობიერების ამაღლება; თვალსაჩინოება.		+	+				
2	დარგის ექსპერტების ჰიბრიდული (Zoom-ის მეშვეობით) ეკოლექცია	ექსპერტების ანაზღაურება	1700	სტუდენტებისთვის ეკოლექციას ჰიბრიდულად ჩაატარებს დარგის ექსპერტები საველე ექსპედიციისთვის განკუთვნილი ინვენტარის მოხმარების, ველზე მოქცევის და ჰერპეტოფაუნის შესახებ. ისინი ახალგაზრდებს გაუზიარებენ თავიანთ ცოდნას და მრავალწლიან გამოცდილებას, რაც წინაპირობა გახდება დარგის მიმართ დაინტერესებისა და ცნობიერების გაზრდის.	გამოცდილების, ცოდნის გაზიარება; ინტერესის გზარდა დარგის მიმართ.	+	+	+				
3	ტრანსპორტირება (2 მიკროავტობუსი).	2 მიკროავტობუსი. მტირალას ეროვნული პარკის მიმართულებით	1000	პროექტის მონაწილეების გადაადგილება დანიშნულების ადგილამდე, კერძოდ მტირალას ეროვნულ პარკამდე და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებამდე.	პროექტის მონაწილეების გადაადგილება აჭარის დაცულ ტერიტორიებამდე.		+	+				
4	საკვების ხარჯი.	20 ლარი ულუფა (40 ადამიანი)	800	საველე ექსპედიციაში დაცული ტერიტორიები ფეხით უნდა დავლაშქროთ, ამიტომ პროექტის მონაწილეები უზრუნველყოფილი იქნებიან საკვებითა და სასმელი წყლით.	პროექტის მონაწილეების საკვებითა და სასმელი წყლით უზრუნველყოფა.		+	+				
5	საკანცელარიო ნივთები	თემატური (დაპრინტული) ტილოს ხელჩანთები, წიგნაკები, კალმები, სერთიფიკატები.	300	ახალგაზრდებს გაეზრდებათ მოტივაცია სამომავლოდ სხვადასხვა პროექტში ჩართვის. პროექტს მეტად საინტერესოს გახდის. პროექტის მონაწილეების წახალისება.	მოტივირება; წახალისება.		+	+				